ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

UNDP

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება

2025 წლის 10 დეკემბერი

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება

2025 წლის 10 დეკემბერი

გამოცემა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ავტორები: თამაზ კირტავა
თამარ ბოჭორიშვილი
იოსებ ედიშერაშვილი
მარიამ ოქრუაშვილი
მარიამ ჯიქიძე
მზია გოჩელაშვილი
ნანა მჭედლიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

წინასიტყვაობა ... 4
შეჯამება ... 5
თავი 1 – გაერთიანების თავისუფლება ... 7
1.1. „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (ე.წ. FARA) ... 7
1.2. ცვლილებები „გრანტების შესახებ“ კანონში ... 8
1.3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონიტორინგი „გრანტების შესახებ კანონის“ და ე.წ. FARA-ს საფუძველზე ... 9
1.4. ანგარიშების დაყადაღება და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და უფლებადამცველების წინააღმდეგ ... 10
1.5. შემზღუდველი საკანონმდებლო სივრცის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე ... 12
თავი 2 – გამოხატვის თავისუფლება ... 14
2.1. შეურაცხყოფასა და ცილისწამებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ... 14
2.2. პოლიტიკური თანამდებობის პირის შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალწარმოებები ... 15
2.3. მედიის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები ... 15
2.3.1. მაუწყებლების მიერ უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა ... 15
2.3.2. „სამართლიანობასა და მიუკერძოებლობასთან“ დაკავშირებული ახალი ბუნდოვანი ვალდებულებები ... 16
2.3.3. მედიის შეზღუდვა სასამართლოში ... 17
თავი 3 – შეკრების თავისუფლება ... 18
3.1. ძალადობრივი დარბევა და შეკრება-მანიფესტაციებში მონაწილეებზე მესამე პირთა მხრიდან ძალადობა ... 18
3.2. შეკრება-მანიფესტაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ... 18
3.3. შეკრების თავისუფლების კონტექსტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართალწარმოება ... 20
3.4. სახის ამომცნობი კამერების გამოყენება, როგორც ადმინისტრაციული დაჯარიმების მექანიზმი ... 22
თავი 4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ... 24
4.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება შეკრების თავისუფლების კონტექსტში ... 24
4.1.1. სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი 2024 წლის გაზაფხულიდან 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით ... 24
4.1.2. სისხლის სამართლის საქმეები 2025 წლის 4 ოქტომბრის შემდგომ ... 28
4.2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა სისხლის სამართლის საქმეები ... 29
თავი 5 – სიცოცხლის უფლება ... 34
თავი 6 – წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა ... 37
6.1. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა ... 37
6.2. აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის არაეფექტიანი გამოძიება ... 37
6.3. წამების გამოძიებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმების გაუარესება ... 40
თავი 7 – თანასწორობის უფლება ... 41
თავი 8 – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ... 43
8.1. შრომის უფლება ... 43
8.1.1. საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ... 43
8.1.2. ჭიათურაში მაღაროელთა შრომითი უფლებების დარღვევა ... 45
8.2. ღირსეული საცხოვრისის უფლება ... 46
8.3. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ... 47
დანართი ... 49

წინასიტყვაობა

ყოველი წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის დღე აღინიშნება, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ პარიზში 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების სამახსოვრო თარიღს უკავშირდება. ამ დოკუმენტმა პირველად განსაზღვრა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უნივერსალური დაცვა, რომელიც საერთაშორისო ზედამხედველობის საგანი გახდა. იმავდროულად, მას ჰქონდა კონკრეტული მიზანი – ებრძოლა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ. შესაბამისად, ადამიანის უფლებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი ცენტრალური როლი აკისრია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყოველი წლის 10 დეკემბერს ეხმაურება და აფასებს იმ წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას ქვეყანაში. საქართველოში 2025 წელს განვითარებული მოვლენები ცალსახად მოითხოვს, დეტალურად აღიწეროს ის ტენდენციები, ქცევის მოდელები და მისწრაფებები, რომლებიც ადამიანის უფლებების არსის მნიშვნელოვნად შეზღუდვას უკავშირდება.

2025 წელი შეზღუდული თავისუფლებების წელია *(curtailed freedoms).* ავტოკრატიულმა სამართალშემოქმედებამ, თავისუფლებების არათანაზომიერმა შეზღუდვამ განსაკუთრებით გააძლიერა წნეხი გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე, შესაბამისად, იმ უფლებებზე, რომლებიც დემოკრატიას ფუნქციურს ხდის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მთელი წლის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად აანალიზებდა მათ და შემდგომ ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასების პრინციპით ადოკუმენტირებდა.

წარმოდგენილი ანგარიშის მომზადება საიას თანამშრომლებმა შეძლეს სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულების ქვეშ ფუნქციონირების პირობებში, როდესაც პროპაგანდისტული მედიასაშუალებები, შემზღუდველი კანონმდებლობის პარალელურად, მუდმივად თავს ესხმოდნენ უფლებადაცვით ორგანიზაციას.

შეჯამება

2025 წელი საქართველოსთვის, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წელი იყო. გაგრძელდა 2024 წელს დაწყებული ავტორიტარიზმის გაძლიერების პროცესი, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის მიზანმიმართულად ძირის გამოთხრა სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის, საკანონმდებლო ჩარჩოს გაუარესებით, ფიზიკური ძალადობით, უსაფუძვლო დაკავებებით და დაჯარიმებებით, პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულებით და დეზინფორმაციის კამპანიებით. რეპრესიების განსაკუთრებული სამიზნე სწორედ ის ინსტრუმენტული უფლებები იყო, რომლებიც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და სხვა უფლებით სარგებლობის გარანტორებია: გამოხატვის, შეკრების და გაერთიანების თავისუფლებები.

გაერთიანების თავისუფლების კუთხით სიტუაცია 2025 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა. გარდა ახალი რეპრესიული კანონების მიღებისა (ე.წ. FARA და „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები), რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციას, რესურსებზე წვდომის შეზღუდვას და საქმიანობის კრიმინალიზებას იწვევს, „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებას ასევე პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებებით, ანგარიშების დაყადაღებით და გამოკითხვებით ავიწროებდა.

„ქართული ოცნების“ განსაკუთრებული სამიზნე იყო **გამოხატვის თავისუფლება.** მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ უფლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, საჯარო მოსამსახურეების და პოლიტიკური თანამდებობის პირების შეურაცხყოფის აკრძალვით, ცილისწამებასთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიის დაცვის გარანტიების შესუსტებით, მაუწყებლებისთვის უცხოური დაფინანსების მიღების ბლანკეტური აკრძალვით, სასამართლოებში მედიის საქმიანობის შეზღუდვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ცდილობდა, ადმინისტრაციული სანქციებით საზოგადოებაში შეექმნა თვითცენზურის გარემო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკასთან მიმართებით.

გაუარესებას განაგრძობდა ვითარება **შეკრების თავისუფლების** კუთხითაც. „ქართულმა ოცნებამ“ ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელი არაერთი ცვლილება შეიტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში. ამასთანავე, შემოიღო ახალი სამართალდარღვევები და მნიშვნელოვნად გაზარდა სანქციები. მთელი წლის განმავლობაში პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენებოდა უსაფუძვლო ადმინისტრაციული პატიმრობები, მაღალი ჯარიმები, ფიზიკური ძალადობა.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად გამოიკვეთა **პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება**. საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით ბრალი წარედგინა, ჯამში, 147 აქტივისტსა და პოლიტიკოსს (მათ შორის, 2025 წლის 4 ოქტომბრის მოვლენების შემდგომ დაკავებულია 66 პირი). 2024 წლის გაზაფხულიდან 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლოში 69 პირის მიმართ მიმდინარე საქმეებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ აქტივისტების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გამოყენება მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტული შესაძლო დანაშაულის აღკვეთის, არამედ, ასევე, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლისკენ.

სახელმწიფო 2025 წელსაც განაგრძობდა დემონსტრანტების მიმართ **არასათანადო მოპყრობას.** ამის მაგალითია 2 თებერვლის აქციის ძალადობრივი დარბევა. კვლავ დაუსჯელები რჩებიან 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში **სისტემურ წამებაზე** პასუხისმგებელი პირები. გარდა იმისა, რომ გამოძიება აქამდეც ფასადური და არაეფექტიანი იყო, 2025 წელს კიდევ უფრო გაუარესდა საპოლიციო ძალადობის გამოძიებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ჩარჩო – ივლისში გაუქმდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

2025 წელს გრძელდებოდა კრიტიკულად განწყობილი საჯარო მოხელეებისგან სახელმწიფო სამსახურების წმენდა და მათი შრომითი გარანტიების შესუსტება, რაც დასაქმებულებს **დისკრიმინაციის** და **შრომითი უფლებების** დარღვევის სამიზნედ ხდიდა.

კვლავ პრობლემურია **თანასწორობის** უფლების რეალიზებისა და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის კუთხით არსებული ვითარება. „ქართული ოცნება“ სამოქალაქო სივრცის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს თვითორგანიზების, ადვოკატირების და სერვისების მიღების მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გარეშე ტოვებს. ანტიგენდერული რიტორიკითა და კანონების მიღებით სახელმწიფო განაგრძობს გენდერული თანასწორობის კუთხით წლების განმავლობაში მიღწეული პროგრესისთვის ძირის გამოთხრას, სექსიზმისა და ჰომოფობიის/ტრანსფობიის წახალისებას. 2025 წელს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პოლიცია თავად იყენებდა გენდერულად მოტივირებულ შეუ-

რაცხყოფას, ფიზიკურ ძალადობას და სექსუალურ შევიწროებას პროტესტში მონაწილე ქალების წინააღმდეგ.

მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების ფონზე, უგულებელყოფილია **ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები** და ამ კუთხით კვლავ არაერთი პრობლემა არსებობს. 2025 წელს თვალშისაცემი იყო ღირსეული საცხოვრისისა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებების თვალსაზრისით არსებული მძიმე მდგომარეობის სავალალო შედეგები. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანების გარდაცვალება, სავარაუდოდ, უკავშირდებოდა სახელმწიფოს მხრიდან **სიცოცხლის უფლებიდან** გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების უგულებელყოფას და პრევენციული ზომების არარსებობას.

თავი 1 – გაერთიანების თავისუფლება

2025 წელი, სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებთან ერთად, გაერთიანების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ზომებით ხასიათდებოდა. ეს მოიცავს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს და მათ აღსრულებას, ასევე, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების თვითნებურ გამოყენებას ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეშლისა და დაშინების მიზნით.

2025 წელს მიღებული, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო სიახლეები მოიცავს: „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტს“ (ე.წ. FARA) და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს. ამასთანავე, კვლავ ძალაშია 2024 წელს მიღებული რუსული სტილის კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.

ეს კანონები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთიანობაში, გაერთიანების თავისუფლებაზე დამანგრეველი ეფექტის მქონეა. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ „რუსული კანონის“ საქმეში – Georgian Young Lawyers' Association and Other v. Georgia (31069/24) – მესამე მხარედ ჩართული პირების,[1] მათ შორის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრისა[2] და ვენეციის კომისიის[3] წერილობითი პოზიციებიც.

1.1. „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (ე.წ. FARA)

2025 წლის 1-ელ აპრილს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (ე.წ. FARA).[4] კანონის მიხედვით, პირს შეიძლება დაეკისროს „უცხოეთის პრინციპალის აგენტად" რეგისტრაციის ვალდებულება, თუ იგი, უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, საქართველოში მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო და, თუ, იმავდროულად, იგი მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით.[5] კანონი ითვალისწინებს „ანტიკორუფციული ბიუროს“ მხრიდან ზედმეტად ფართო მონიტორინგის უფლებამოსილებას, ასევე, რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის ექსტენსიურ ანგარიშგებას და მათ მიერ გავრცელებულ მასალებზე შესაბამისი აღნიშვნის გაკეთების ვალდებულებას. ამ კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.[6]

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ კანონის მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ვერ ხდება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება და საჭიროა ახალი კანონი კანონმდებლის ნების აღსასრულებლად.[7] ვენეციის კომისიამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან (რუსული კანონი)[8] დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ გამჭვირვალობა, იზოლირებულად, არ შეიძლება იყოს გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.[9] გამჭვირვალობაზე მითითება რელევანტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უკავშირდება კონვენციით გათვალისწინებულ მიზნებს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ის ვიწროდ უნდა განიმარტოს.[10] ვენეციის კომისიის შეფასებით, ამ პრინციპებისგან განსხვავებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ძირს უთხრის დე-

---

[1] საია, „რუსული კანონის“ საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა წერილობითი კომუნიკაცია წარადგინეს, 23.09.2025; იხ. https://gyla.ge/post/Ara-Rusulkanons-GYLA [14.11.2025].

[2] Third party intervention by the Commissioner for Human Rights of the Council of Europe under Article 36, paragraph 3, of the European Convention on Human Rights Application no. 31069/24 Georgian Young Lawyers' Association and Others v. Georgia, CommHR(2025)52, იხ. https://www.coe.int/en/web/commissioner/-/commissioner-o-flaherty-intervenes-in-ecthr-case-on-georgia-s-foreign-influence-law [14.11.2025].

[3] Venice Commission, CDL-AD(2025)035, Amicus Curiae Brief for the European Court of Human Rights in the Case of Georgian Young Lawyers' Association and Others v. Georgia (no. 31069/24) on the Law of Georgia on Transparency of Foreign Influence.

[4] საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0 [14.11.2025].

[5] საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, მუხლი 1.გ.

[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 355[2].

[7] „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ განმარტებითი ბარათი და კანონპროექტთან დაკავშირებული სხვა ფაილები იხილეთ ბმულზე: https://info.parliament.ge/#law-drafting/30320 [14.11.2025].

[8] აქვე, აღსანიშნავია, რომ ანგარიშის მომზადების დროისთვის (2025 წლის ოქტომბერი) რუსული კანონი კვლავ ძალაშია.

[9] VENICE COMMISSION, OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO "FOREIGN INFLUENCE", CDL-AD(2025)034, 2025, პარ. 66; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e [14.11.2025].

[10] იქვე.

მოკრატიულ პლურალიზმს და გამოხატვის თავისუფლებას, რაც არ შეესაბამება ლეგიტიმურობის კომპონენტს. კომისიის განმარტებით, იმავე პრობლემებით ხასიათდება ე.წ. FARA-ც.[11]

ე.წ. FARA-ს ბუნდოვანი დეფინიციები იძლევა მისი ზედმეტად ფართოდ და თვითნებურად განმარტების შესაძლებლობას, რითაც ქმნის მსუსხავ ეფექტს და თვითცენზურის გარემოს.[12] ვენეციის კომისიის შეფასებით, ეს კანონი, მისი წინამორბედი „რუსული კანონის" მსგავსად, ვერ აკმაყოფილებს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის კომპონენტებს და ძირს უთხრის გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებს.[13]

ე.წ. FARA, ისევე, როგორც „რუსული კანონი" და მომდევნო ქვეთავში განხილული ცვლილებები გრანტების შესახებ კანონში, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა და ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების დაცვას. ამ საფრთხეზე ყურადღება გაამახვილა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფმაც (GRETA). GRETA-ს 2025 წლის ანგარიში ადასტურებს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მონაცემებთან მიმართებით, რომლებსაც დახმარებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უწევენ.[14]

1.2. ცვლილებები „გრანტების შესახებ" კანონში

2025 წელს „გრანტების შესახებ" კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, უცხოური დონორის მიერ გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას.[15] ამ თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება 2025 წლის 17 აპრილიდან იწვევს გრანტის მიმღების დაჯარიმებას გრანტის ორმაგი ოდენობით.[16] ცვლილებები ანტიკორუფციულ ბიუროს მონიტორინგის ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს, რომლებსაც ბიურო უკვე იყენებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესავიწროებლად (იხილეთ ქვეთავი 1.3.).

ამასთანავე, გრანტის შეთანხმების წესების მიხედვით, მთავრობა შეისწავლის გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას და დაადგენს მათ შესაბამისობას სამთავრობო პროგრამასთან, საქართველოს მთავრობის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებსა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან.[17] ეს, ფაქტობრივად, გრანტის გამცემს და მიმღებს ავალდებულებს, თანხმობის მისაღებად უზრუნველყონ გრანტის შესაბამისობა სამთავრობო პროგრამასა და მმართველი პარტიის პოლიტიკასთან. ეს კი ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის „საზოგადოებრივი დარაჯის" *(watchdog)* ფუნქციას, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრატეგიის ან/და პრიორიტეტების კრიტიკას გულისხმობდეს.

ეს ცვლილებები, ისევე, როგორც ე.წ. FARA, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ „ქართული ოცნების" მიერ წარმოებულ დეზინფორმაციის კამპანიასთან და მიზნად ისახავს, კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებს მოუსპოს წვდომა საქმიანობისთვის მნიშვნელოვან რესურსებზე. ამის ილუსტრაციაა დიდი ბრიტანეთის საელჩოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებული შემთხვევაც: 11 ივნისს დიდი ბრიტანეთის საელჩომ გააკეთა განცხადება საგრანტო წინადადებების გაუქმების შესახებ, რაც გამოწვეული იყო „ქართული ოცნების" მიერ თანხმობის გაცემის პროცედურის გაჭიანურებით.[18] განცხადების მიხედვით, საელჩო ცდილობდა მთავრობისგან საგრანტო პროექტებზე თანხმობის მოპოვებას, თუმცა ჯერ არ იყო მიღებული მთავრობის დადგენილება გრანტების დამტკიცების პროცედურის შესახებ, შესაბამისად, იმ დროისთვის არ არსებობდა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები ან ვადები.[19] განცხადების თანახმად, ამ გაურკვევლობის გამო, საელჩომ გააუქმა დაგეგმილი საგრანტო წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა დაგეგმილი მუნიციპალური არჩევნების

---

[11] იქვე, 66-67.
[12] იქვე, 98.
[13] იქვე, 66, 77.
[14] GRETA, FOURTH EVALUATION ROUND, GEORGIA, GRETA(2025)11, იხ. https://rm.coe.int/greta-evaluation-report-on-the-implementation-of-the-council-of-europe/488028ee2c [14.11.2025].
[15] საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ", მუხლი 5^1.
[16] საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ", მუხლი 6^4.
[17] საქართველოს მთავრობის 2025 წლის 7 ივლისის N250 დადგენილება „უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", მუხლი 10, პუნქტი 3, იხ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6563350?publication=0 [14.11.2025].
[18] დიდი ბრიტანეთის საელჩოს განცხადება, 11.06.2025; იხ. https://www.facebook.com/ukingeorgia/posts/pfbid0U6nQEYWEZiHtaGRLFndfWZdYsvx73HKUMeoQwsEZm5vcpwNTZkDRJNFqFhqwHsv7l?rdid=Is3J51gpQx4mU1eS [14.11.2025].
[19] იქვე.

გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერას.[20] ამას მოჰყვა „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირების მხრიდან დაუსაბუთებელი თავდასხმები დიდი ბრიტანეთის საელჩოზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა (მათ შორის, საიაზეც, რომელიც გრანტის ერთ-ერთი მიმღები უნდა ყოფილიყო) და დამოუკიდებელ მედიაზე.[21]

1.3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონიტორინგი „გრანტების შესახებ კანონის“ და ე.წ. FARA-ს საფუძველზე

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებას მონიტორინგს უწევს ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც პოლიტიზების მაღალი ხარისხით ხასიათდება.[22] ეს უწყება ე.წ. FARA-ს მთავარი აღმასრულებელი ორგანოცაა. ამ კანონების აღსრულებისა და მონიტორინგის ფარგლებში ბიუროს ექსტენსიური საგამოძიებო უფლებამოსილებები აქვს, მათ შორის, ინფორმაციის გამოთხოვნის, გამოკითხვის და ყადაღის მოთხოვნის უფლებები. ვენეციის კომისიის შეფასებით, ანტიკორუფციულ ბიუროს აკლია დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გარანტიები.[23] ამასთანავე, ბიუროს კორუფციასთან ბრძოლის კუთხით ისედაც ბევრი პასუხუსმგებლობა აკისრია.[24] მისი მანდატის გაფართოება ე.წ. FARA-სა და გრანტების შესახებ კანონთან დაკავშირებული ფუნქციებით უფლებამოსილებების უჩვეულო კომბინაციას ქმნის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რამდენად არის შესაძლებელი მათი სრულყოფილად და მიუკერძოებლად განხორციელება.[25] ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვენეციის კომისია ხაზს უსვამს სელექციური, კონკრეტული ორგანიზაციებისა ან ინდივიდების წინააღმდეგ მიმართული აღსრულების არსებით რისკებს.[26]

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ნოემბერში დაანონსებული ცვლილებების მიხედვით, 2026 წლის მარტიდან ანტიკორუფციული ბიურო გაუქმდება, ხოლო მისი ფუნქციები მთლიანად სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა.[27] ამის მიუხედავად, სახელმწიფო ინსტიტუტების სრული მიტაცების ფონზე, კვლავ აქტუალური რჩება ის პრობლემები, რომლებიც ანტიკორუფციული ბიუროს პირობებში არსებობდა.

2025 წლის 17-23 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების 8 ორგანიზაციას ჩაჰბარდა სასამართლოს ბრძანებები, რომელთა მიხედვითაც, დაკმაყოფილდა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და ორგანიზაციებს დაევალათ, ბიუროსთვის წარედგინათ 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის შეუზღუდავი მოცულობის სამართლებრივი, პერსონალური, ფინანსური და ტექნიკური ინფორმაცია, მათ შორის, ბენეფიციარებსა და მესამე პირებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.[28]

---

[20] იქვე.

[21] „ქართული ოცნების თანამდებობის პირებმა, მათ შორის „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის ვიცესპიკერმა ნინო წილოსანმა და „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ არაერთი განცხადება გააკეთეს ამ ორგანიზაციების დისკრედიტაციის მიზნით და მათი დაფინანსება ექსტრემიზმის დაფინანსებასთან გააიგივეს. იხ. „ტაბულა“, „პაპუაშვილი ბრიტანეთის ელჩს ექსტრემიზმის დაფინანსებასა და არჩევნებში ჩარევაში ადანაშაულებს“, 11.06.2025, იხ. https://tabula.ge/ge/news/736553-papuashvili-britanetis-elchs-ekstremizmis [14.11.2025]; „იმედი“, „ნინო წილოსანი: ნამდვილად მიკვირს ბრიტანეთის საელჩოს ასეთი გაცხადებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყველასთვის ცნობილ დესტრუქციულ „ენჯეოებს“ ვეღარ დააფინანსებენ“, 11.06.2025, იხ. https://imedinews.ge/ge/politika/390016/nino-tsilosani-namdvilad-mikvirs-britanetis-saelchos-aseti-gatskhadebuli-pozitsia-imastan-dakavshirebit-rom-kvelas-tvis-tsnobil-destruqtsiul-enjeoebs-vegar-daapinanseben [14.11.2025]; „რუსთავი 2“, „ირაკლი კობახიძე ბრიტანეთის საელჩოზე: სხვა დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც აკრძალულია პოლიტიკური პარტიების გარედან დაფინანსება, როცა პარტიულ დანამატებს აფინანსებ, ესეც ექსტრემიზმის წახალისებაა და ხელისუფლების მხრიდან ვერ ექნება მხარდაჭერა“, 12.06.2025, იხ. https://rustavi2.ge/ka/news/316845 [14.11.2025].

[22] საია, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი დამოუკიდებელი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში, 2025, 7; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/უცხოეთის%20აგენტების%20რეგისტრაციის%20აქტი%20დამოუკიდებელი%20ინსტიტუტების%20არარსებობის%20პირობებ%20(1).pdf [14.11.2025].

[23] VENICE COMMISSION, OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO “FOREIGN INFLUENCE”, CDL-AD(2025)034, 2025, პარ. 79; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e [14.11.2025].

[24] იქვე, 75.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] „რადიო თავისუფლება“, „ანტიკორუფციული ბიურო მომავალი წლის მარტიდან გაუქმდება“, 17.11.2025, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33593687.html [17.11.2025].

[28] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო, 19.06.2025, იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/kartulma-otsnebam-samokalako-sazogadoebistvis-damangreveli-kanonebis-gamoqeneba-ukve-daitsqo [14.11.2025]; ასევე, ISFED, ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას ანტიკორუფციული ბიურო „სამართლიანი არჩევნებისგანაც” ითხოვს, 23.06.2025, https://isfed.ge/geo/gantskhadebebi/benefitsiarebis-shesakheb-informatsias-antikoruftsiuli-biuro-samartliani-archevnebisganats-itkhovs [14.11.2025].

ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციის[29] მიხედვით, ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, „გრანტების შესახებ“ კანონთან ერთად, მითითებული იყო შემდეგი ნორმები:

(1) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლი, რომელიც საარჩევნო სუბიექტის ან განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის ფინანსურ მონიტორინგს შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაციები არ განეკუთვნებოდნენ განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებს.

(2) „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20[13] მუხლი, რომელიც შეეხება ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ინფორმაციის გამოთხოვნას საჯარო სამსახურში კორუფციის აღმოჩენისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა განმარტებული არ იყო, როგორ უკავშირდებოდა ეს პროცესი საჯარო სამსახურში კორუფციის აღმოჩენასა და მონიტორინგს.

ამასთანავე, უცნობი იყო, რატომ დაევალათ ორგანიზაციებს 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის ინფორმაციის წარდგენა, მაშინ, როდესაც „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები ძალაში 2025 წლის 17 აპრილიდან შევიდა,[30] ან რით იყო განპირობებული ამ მასშტაბის ინფორმაციის, მათ შორის, ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების გამოთხოვნა.

2025 წლის აგვისტოში, სამოქალაქო საზოგადოების 7-მა ორგანიზაციამ, რომელთაგანაც ივნისში ზემოთ ხსენებული ინფორმაცია იყო მოთხოვნილი, ანტიკორუფციული ბიუროსგან მორიგი წერილი მიიღო. ბიურო მათგან ითხოვდა განმარტებებს, რატომ არ დარეგისტრირდნენ ე.წ. FARA-ს რეგულაციებით განსაზღვრული წესით.[31]

2025 წლის 8 სექტემბრის შემდეგ სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების კიდევ ახალმა ნაწილმა (საიას ინფორმაციით, 80-ზე მეტმა ორგანიზაციამ) მიიღო ბიუროს წერილი „გრანტების შესახებ“ კანონის შესაბამისად მონიტორინგის დაწყების შესახებ. ანტიკორუფციული ბიურო ორგანიზაციებისგან მოითხოვს 2025 წლის 16 აპრილის შემდეგ პერიოდში მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კატეგორიის მოცულობით ინფორმაციას.[32]

მას შემდეგ, რაც ორგანიზაციებმა წერილობით განუმარტეს ბიუროს, თუ რატომ იყო მისი მოთხოვნა უკანონო, მან შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართა სასამართლოს, რომელიც ამ მიმართვებს ეტაპობრივად აკმაყოფილებს. მათ შორის, 17 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ბრძანება საიას წინააღმდეგ, რომლითაც სრულად დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ყოველგვარი სამართლებრივი, იურიდიული საფუძვლების რეალური განხილვის გარეშე, უბრალოდ, გაიმეორა ანტიკორუფციული ბიუროს არგუმენტები. სააპელაციო სასამართლომ (რომელიც, ამ შემთხვევაში, ბოლო ინსტანციაა) ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ანტიკორუფციული ბიუროს ქმედებები არის კოორდინირებული თავდასხმა სამოქალაქო სექტორზე და მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას, მათზე ზეწოლას, მათ ავტონომიაში უხეშ ჩარევას.

1.4. ანგარიშების დაყადაღება და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და უფლებადამცველების წინააღმდეგ

2025 წელს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების შევიწროება მოიცავდა არა მხოლოდ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებულ მონიტორინგს, არამედ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმების ბოროტად გამოყენებასაც, მათ შორის, ანგარიშების დაყადაღებას, საცხოვრებელი სახლების ჩხრეკას, გამოკითხვებს.

ანგარიშების დაყადაღების პირველი ტალღა 2025 წლის მარტში განხორციელდა. ამ დროს ყადაღა იმ 5 ფონდის ანგარიშებს დაედო, რომლებიც საპროტესტო აქციებზე დაჯარიმებული ადამიანების დასახმა-

[29] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო, 19.06.2025, იხ. https:/socialjustice.org.ge/ka/products/kartulma-otsnebam-samokalako-sazogadoebistvis-damangreveli-kanonebis-gamoqeneba-ukve-daitsqo [14.11.2025].

[30] იქვე.

[31] „რადიო თავისუფლება“, „ვემსახურებით საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს“ - NGO-ებმა ანტიკორუფციულ ბიუროს უპასუხეს“, 22.08.2025, https://www.radiotavisupleba.ge/a/33510314.html [14.11.2025].

[32] საია, „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო, 22.09.2025; იხ. https://www.gyla.ge/post/Statemnet-22-09 [14.11.2025].

რებლად, მათ შორის, საპოლიციო ძალადობის შედეგად დაზარალებულთა სამედიცინო ხარჯებისთვის აგროვებდნენ ფინანსებს.[33] ფონდების ანგარიშების დაყადაღებას მოჰყვა მათი წარმომადგენლების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკა 2025 წლის აპრილში, რაც პროცესუალური გარანტიების უხეში დარღვევით ჩატარდა.[34]

2025 წლის აგვისტოში ყადაღა დაედო სამოქალაქო საზოგადოების შვიდი ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს,[35] ხოლო მათი წარმომადგენლები გამოკითხვაზე დაიბარეს.[36]

გამოძიება, რომლის ფარგლებშიც ხსენებული ზომები იყო მიღებული, სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებს მოიცავს:[37]

- 318-ე მუხლის 1-ლი ნაწილი – საბოტაჟი;
- მე-19 მუხლი, 318-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში – დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობა;
- 319-ე მუხლი – უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისა ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება;
- 321[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი – საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის კანონით დადგენილია მკაცრი სასჯელები, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე ვადით (სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე და 321[1]-ე (2) მუხლები).

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის მიერ წარმოებული ეს გამოძიება, ფორმალურად, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ წარმოებული „მონიტორინგისგან“ დამოუკიდებელი პროცედურაა, აშკარაა, რომ სახელმწიფო კოორდინირებულად იყენებს რეპრესიულ ინსტრუმენტთა ფართო სპექტრს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ, რითაც ცდილობს, დააშინოს ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები, შეუწყვიტოს მათ წვდომა აუცილებელ რესურსზე და მოახდინოს მათი საქმიანობის უსაფუძვლო, *de facto* კრიმინალიზება.

გარდა ამისა, 2 დეკემბრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო იმ ადამიანების გამოკითხვაზე დაბარება, რომლებიც BBC-ის საგამოძიებო ფილმის რესპონდენტები იყვნენ ან კადრში ჩანდნენ. BBC-მ 1-ელ დეკემბერს გამოაქვეყნა საგამოძიებო ფილმი[38] და სტატია,[39] რომლის თანახმად, 2024 წლის საპროტესტო აქციების დასაშლელად საქართველოს ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, წყლის ჭავლში შერეული ბრომობენზილ ციანიდი (კამიტე) გამოიყენა.[40] რეპორტაჟის გამოქვეყნების შემდეგ სუს-მა გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი) და უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების (სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლი) მუხლებით დაიწყო[41] (იხილეთ ქვეთავი 6.2).

---

[33] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 17.03.2025, https://pog.gov.ge/news/saqartvelos-prokuraturis-gantskhadeba-4736?fbclid=IwY2xjawJE8_1leHRuA2FlbQIxMAABHUimY_By-9GObH5sAUzTmMojzgjqZyjlVmvXFpvWpL4Z_rI7gSvwXsZ5UA_aem_tx1zIHkpkfmII3jWlh0WNw&lng=geo [14.11.2025].

[34] საია ეხმიანება ფონდების წარმომადგენელთა სახლებში ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებას, 30.04.2025, https://www.gyla.ge/post/GYLA-pondebis-warmomadgenelta-saxlebshichkhxreka [29.10.2025].

[35] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 27.08.2025, https://pog.gov.ge/news/saqartvelos-prokuraturis-gantskhadeba-4982 [14.11.2025].

[36] „ნეტგაზეთი“, „პროკურატურა სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოკითხვაზე იბარებს“, 01.09.2025, https://netgazeti.ge/life/783963/ [14.11.2025].

[37] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 17.03.2025, https://pog.gov.ge/news/saqartvelos-prokuraturis-gantskhadeba-4736?fbclid=IwY2xjawJE8_1leHRuA2FlbQIxMAABHUimY_By-9GObH5sAUzTmMojzgjqZyjlVmvXFpvWpL4Z_rI7gSvwXsZ5UA_aem_tx1zIHkpkfmII3jWlh0WNw&lng=geo [14.11.2025].

[38] BBC, Did Georgian police use a chemical weapon against protesters?- BBC World Service Documentaries, 01.11.2025, https://www.youtube.com/watch?v=z4-koO916Gk&t=133s [04.12.2025].

[39] BBC, WW1 toxic compound sprayed on Georgian protesters, BBC evidence suggests, 01.12.2025, იხ. https://www.bbc.com/news/articles/czrk7g50e1po [04.12.2025].

[40] იქვე.

[41] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2025 წლის 1-ლი დეკემბრის განცხადება, იხ. https://ssg.gov.ge/news/1058/sus-shigamodzieba-daitsyo-BBC-is-mier-sajaro-sivrceshi-danashaulis-shesaxeb-gavrcelebul-informaciastan-dakavshirebit [02.12.2025].

ამ გამოძიებასთან დაკავშირებით, გამოკითხვაზე დაიბარეს ექიმები, აქციის მონაწილეები და უფლებადამცველები, მათ შორის, საიას თანამშრომლები.[42] BBC-ის ფილმში საიამ ისაუბრა 2024 წლის მასობრივი პროტესტის დროს აქციის მონაწილეების წამებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა სისტემურ ფაქტებზე. ამის შესახებ საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამოაქვეყნა დეტალური ანგარიში,[43] რომელშიც ათეულობით დაზარალებულის შემთხვევაა აღწერილი. ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია და საია ამ საკითხებზე ღიად საუბრობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მედიაში.[44]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში საიას თანამშრომლების მოწმის სტატუსით დაბარება აჩენს ძლიერ ეჭვს, რომ მიზანი არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ იმ ადამიანებსა და ორგანიზაციებზე ზეწოლაა, რომლებიც სისტემურ უფლებადარღვევებზე საუბრობენ.[45]

განსაკუთრებით პრობლემურია სუს-ის მიერ ამ საქმის ფარგლებში გამოყენებული ფორმულირება „სახელმწიფო ინტერესების დაზიანების“ კვალიფიკაციის შესახებ, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო არ ატარებს ეფექტიან და დამოუკიდებელ გამოძიებას ძალოვანი უწყებების მხრიდან შესაძლო ძალადობისა და უფლებების დარღვევის ფაქტებზე.[46]

1.5. შემზღუდველი საკანონმდებლო სივრცის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე

საია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აწარმოებს საქმეს Georgian Young Lawyers' Association and Other v. Georgia (31069/24), რომელიც 136 ორგანიზაციისა და 4 პირის სახელით გაიგზავნა და შეეხება 2024 წელს მიღებულ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (ე.წ. რუსული კანონი).

წარმოდგენილი ქვეთავი ეყრდნობა განმცხადებელი ორგანიზაციების მიერ 2025 წლის აგვისტოში მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ცხადყოფს, რომ მათ წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, ე.წ. FARA და „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები) კუმულატიური ეფექტები სამოქალაქო საზოგადოებაზე დამანგრეველია.

განმცხადებელთაგან მხოლოდ 3 დარეგისტრირდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში შექმნილ რეესტრში. დანარჩენმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს რეგისტრაციაზე. ამის მიზეზად ისინი მიუთითებენ კანონის შეუთავსებლობაზე კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, მასტიგმატიზებელ, შეურაცხმყოფელ და შეცდომაში შემყვან იარლიყზე, რომელიც არასწორად წარმოაჩენს მათი საქმიანობის არსს.

კანონების შედეგად, ორგანიზაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეაჩერა ან მნიშვნელოვნად შეამცირა საქმიანობა. მათი განცხადებით: 34-მა მათგანმა შეაჩერა მუშაობა, 74-მა – შეამცირა, ხოლო 12 ორგანიზაცია დამატებით აღნიშნავს, რომ მალე მოუწევს საქმიანობის შეჩერება.

ამგვარი ვითარება გამოწვეულია როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების შიშით, ასევე, ფინანსების შემცირებით/არარსებობით. ამასთანავე, საქმიანობის შემცირების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის შეუძლებლობაა.

ფინანსების მოპოვების სიძნელეებსა ან შეუძლებლობაზე მიუთითებს 109 ორგანიზაცია. აქედან 19 აღნიშნავს, რომ გართულებულია ფულადი რესურსების მიღება, ხოლო 90 საერთოდ ვერ ახერხებს ახალი ფინანსების მოპოვებას.

სანქციებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიის გამო, ორგანიზაციების ნაწილში თანამდებობები დატოვეს მენეჯმენტის წარმომადგენლებმა. მათ შორის, გამგეობის წევრების, დირექტორის წასვლასა ან ჩანაცვლებაზე მიუთითებს 31 ორგანიზაცია. 12 ორგანიზაცია აცხადებს, რომ შეექმნათ

[42] საია, „საიას თანამშრომლები BBC-ის საგამოძიებო ფილმთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოკითხვაზე დაიბარა“, 02.12.2025, https://gyla.ge/post/GYLA-BBCsagamodziebopilmi-gamokitxvazedabareba [04.12.2025]; ასევე, „რადიო თავისუფლება“, „BBC-სთან ინტერვიუს გამო, სუსმა დაიბარა TI-ის დირექტორი ეკა გიგაური, ასევე ექიმი გოგი ჩახუნაშვილი, კვლევის თანაავტორი“, 03.12.2025, https://www.radiotavisupleba.ge/a/33611641.html [04.12.2025].

[43] საია et al. „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი- 2025 წლის 28 თებერვალი, 2025“.

[44] საია, „საიას თანამშრომლები BBC-ის საგამოძიებო ფილმთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოკითხვაზე დაიბარა“, 02.12.2025, https://gyla.ge/post/GYLA-BBCsagamodziebopilmi-gamokitxvazedabareba [04.12.2025].

[45] იქვე.

[46] იქვე.

დოკუმენტაციაში ცვლილებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერები, როგორიცაა განცხადების ხელოვნურად დახარვეზება და პროცესის გაჭიანურება.

თანამშრომლების რაოდენობის შემცირებასა ან სრულად წასვლაზე საუბრობს 97 ორგანიზაცია: შემცირებაზე მიუთითებს 48 მათგანი, ხოლო 49 – ანაზღაურებადი თანამშრომლების გარეშეა დარჩენილი. აქედან 23 ორგანიზაცია სრულად მენეჯმენტის ან თანამშრომლების მოხალისეობრივი სულისკვეთების ხარჯზე ახერხებს საქმიანობის გაგრძელებას.

62 ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გახდნენ პროპაგანდისტული თავდასხმების, მათ შორის, თანამდებობის პირების მხრიდან დეზინფორმაციული განცხადებების, ხელისუფლებასთან აფილირებული მედიის სიუჟეტებისა ან სოციალურ ქსელებში მადისკრედიტებელი კამპანიების სამიზნეები.

32 ორგანიზაცია მიუთითებს რეპუტაციულ ზიანსა და პარტნიორებთან თანამშრომლობის გართულებაზე. ამ ორგანიზაციების განმარტებით, ბენეფიციარები თავს იკავებენ მათთან ურთიერთობისა ან მათ პროექტებში მონაწილეობისგან, პარტნიორები ერიდებიან მათთან თანამშრომლობას. ორგანიზაციების აზრით, ამის მიზეზია პროპაგანდა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, ასევე, შიში, რომ არასამთავრობოებთან აფილირებამ, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას მათ ბენეფიციარებს/პარტნიორებს.

შემზღუდავი გარემოს ზემოქმედება განსაკუთრებით მძიმედ აისახება ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებზე. საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრის (CSRDG) თემის განვითარების პროგრამის მიერ მომზადებულ სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზაში, 2024 წლის ბოლო მონაცემებით, 114 ჯგუფი ფიქსირდებოდა.[47] CSRDG-ის ინფორმაციით, 2025 წლის განახლებული რუკის მიხედვით, 77 მათგანის საქმიანობა უკვე შეჩერებულია. ამჟამად ქვეყანაში მხოლოდ 37 სათემო ორგანიზაცია/ჯგუფი აგრძელებს ფუნქციონირებას[48] და ისინიც, ძირითადად, ბოლო პროექტების დასრულების ფაზაში იმყოფებიან.[49]

[47] CSRDG, სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა 2025, იხ. https://www.csrdg.ge/ge/info-page/satemo-jgufebisa-da-organizatsiebis-monatsemta-baza-2025 [14.11.2025].
[48] იქვე.
[49] იქვე.

2025 წელი გამოირჩევა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მძლავრი ტენდენციით. მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო და საჯარო დისკუსიის დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი გარანტიები. გაიზარდა მედიის წინაშე არსებული საფრთხეები უცხოური დაფინანსების აკრძალვის, სასამართლოში ვიდე-აუდიო ჩაწერის შეზღუდვისა და ახალი შინაარსობრივი რეგულაციების შედეგად. ამ საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები ცხადყოფს, რომ მათი მიზანი გამოხატვის თავისუფლებისთვის ძირის გამოთხრა და თვითცენზურის გარემოს შექმნაა.

2.1. შეურაცხყოფასა და ცილისწამებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

2025 წლის 6 თებერვალს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 173[16]-ე მუხლი. შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩამოყალიბდა ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მასზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა ან საქმიანობასთან დაკავშირებით (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა). სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახედ განისაზღვრა ჯარიმა 1500-იდან 4000 ლარამდე ან პატიმრობა 45 დღემდე, განმეორებითი ქმედებისთვის კი – ჯარიმა 2500-იდან 6000 ლარამდე ან პატიმრობა 5-იდან 60 დღემდე.[50]

ODIHR-ის შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[16]-ე მუხლი თვითნებური განმარტების საშუალებას იძლევა.[51] მეტისმეტად ფართო და სუბიექტურია მითითება „სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, ლანძღვა-გინებაზე, შეურაცხმყოფელ გადაკიდებასა ან/და სხვაგვარ შეურაცხმყოფელ ქმედებაზე“, რაიმე სახის შინაარსის აღწერის, განმარტების ან დარღვევის დამაფუძნებელი სხვა ელემენტების მოხმობის გარეშე.[52]

ეს ცვლილებები უსაფუძვლოდ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას და ქმნის მსუსხავ ეფექტს, რაც მიზნად ისახავს შიშის დათესვას და „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკის შეზღუდვას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო პირებს კრიტიკის მიმართ თმენის გაცილებით დიდი ვალდებულება აქვთ, ვიდრე რიგით ფიზიკურ პირებს.[53] პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს არ აქვთ პრივილეგია, ისარგებლონ გაძლიერებული დაცვით, მათ შორის, შეურაცხმყოფელი ენით გამოხატული კრიტიკისგან.[54]

გარდა ამისა, შეიცვალა ცილისწამების შესახებ სამოქალაქო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. 2025 წლის 26 ივნისს „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით, გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებებისთვის. ცილისწამების განმარტებიდან ამოიღეს ზიანის კომპონენტი, შეიცვალა მტკიცების ტვირთი და ის მოპასუხის მხარეს გადავიდა, გაუქმდა ჟურნალისტური წყაროს დაცულობის გარანტია.[55]

ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დისკუსიის დაცულობის გარანტიებს. ეს წარმოშობს სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სა-

[50] საია, „ქართული ოცნება“ პროტესტის უფლების ბევრ ასპექტს სამართალდარღვევად აცხადებს - დაჩქარებული ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, 05.02.2025, https://gyla.ge/post/qartuli-ocneba-protestis-uflebis-bevr-aspeqts-zgudavs [14.11.2025].

[51] ODIHR, Opinion-Nr.: FOPA-GEO/536/2025 [TN], para. 104, https://www.osce.org/odihr/587466 [14.11.2025].

[52] იქვე.

[53] Lacroix v. France, No. 41519/12, European Court of Human Rights, 2017.

[54] Drousiotis v. Cyprus, No. 42315/15, European Court of Human Rights, 2022.

[55] ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ დეტალურად იხილეთ პუბლიკაციაში: „საია, კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი, 2025 წლის თებერვალი - ივლისი, გვ. 18-20, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92.pdf [13.11.2025].

მართალწარმოების (SLAPP) დაწყების რისკებს, როდესაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ საზოგადოების აქტიური წევრების წინააღმდეგ ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელების აღძვრის მიზანი მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და ფინანსური ტვირთის გაზრდაა.[56]

2.2. პოლიტიკური თანამდებობის პირის შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალწარმოებები

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოება, როგორც წესი, იწყებოდა აქტივისტებისა და იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც კრიტიკულ აზრს გამოხატავდნენ „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული პირების მიმართ.[57] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[16]-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლო ადმინისტრაციული სახდელის სახით იყენებდა როგორც ჯარიმას, ისე ადმინისტრაციულ პატიმრობას.[58] საიამ გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები დასახელებულ მუხლთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო უწყებებმა ეს მასალები არ მოგვაწოდეს, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციებით დასტურდება, რომ სასამართლო გაუმართლებლად იყენებს მძიმე სანქციებს, მათ შორის, ადმინისტრაციული პატიმრობას, ხოლო, ჯარიმის შემთხვევაში, იშვიათად უფარდებს მის მინიმალურ ოდენობას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მსს და სასამართლო ამ მუხლს და შესაბამის მაღალ სანქციებს აქტიურად იყენებდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების წინააღმდეგ, რაც, შესაძლოა, მიანიშნებდეს გახმაურებული საქმეებით საზოგადოებაში მსუსხავი ეფექტის შექმნის მცდელობაზე.[59]

2.3. მედიის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები

2.3.1. მაუწყებლების მიერ უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა

2025 წელს შეიცვალა მაუწყებლობის შესახებ კანონი. შედეგად, აიკრძალა: მაუწყებლის მიერ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება - ეს მოიაზრებს ფულადი თანხის ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის მიღებას; უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის მომსახურების შესყიდვას; პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირ ან ირიბ დაფინანსებას ან/და თანადაფინანსებას.[60]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ისევე, როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასოციაციების უცხოური დაფინანსების ნებისმიერი საკანონმდებლო შეზღუდვა უნდა იყოს გამართლებული საზოგადოების ფუნდამენტური ინტერესებისთვის საკმარისად მნიშვნელოვანი საფრთხით. კანონმდებლობა, რომელიც ბლანკეტურად აწესებს ასეთ შეზღუდვებს და ეფუძნება ვარაუდს, რომ ყველა უცხოური დაფინანსება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესებს, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ სტანდარტის დამაკმაყოფილებლად.[61] განმარტებით ბარათში წარმოდგენილი არგუმენტაცია არის ბლანკეტური და ზედაპირული. ის ვერ ასაბუთებს რეგულაციის ბმას კონვენციით განსაზღვრულ ისეთ ლეგიტიმურ მიზანთან, რომელიც შეიძლება

---

[56] იქვე.

[57] „საჩივრები Facebook-ის სტატუსების გამო — ვის იბარებს „ოცნება" სასამართლოში", „პუბლიკა", 2025 წლის 11 ივნისი, https://publika.ge/sachivrebi-facebook-is-statusebis-gamo-vis-ibarebs-ocneba-sasamartloshi/ [14.11.2025]; „ჟორჟოლიანი: მარიამ ლაშხი მიჩივის Facebook-ის სტატუსის გამო, რომელშიც „მონა" ვუწოდე", „პუბლიკა", 2025 წლის 11 ივნისი, https://publika.ge/djordjoliani-mariam-lashkhi-michivis-facebook-is-statusis-gamo-romelshic-mona-vuwode/ [14.11.2025].

[58] „მარიამ გეგუჩაძე, მიშა მშვილდაძე, გიორგი მაქარაშვილი და დეა მამისეიშვილი Facebook-პოსტების გამო დააჯარიმეს", „პუბლიკა", 2025 წლის 12 ივნისი, https://publika.ge/mariam-geguchadze-misha-mshvildadze-giorgi-maqarashvili-da-dea-mamiseishvili-facebook-postebis-gamo-daajarimes/ [14.11.2025]; „მარიამ ლაშხის საჩივრის საფუძველზე, თათია აფრიამაშვილს 12-დღიანი პატიმრობა შეეფარდა", „ტაბულა", 2025 წლის 30 მაისი, https://tabula.ge/ge/news/735975-mariam-lashkhis-sachivris-sapudzvelze-tatia [14.11.2025]; „თეა წულუკიანის შეურაცხყოფის საბაბით დაწყებულ საქმეზე ალბი კორძაიას 10-დღიანი პატიმრობა შეეფარდა", „პუბლიკა", 2025 წლის 4 ივნისი, https://publika.ge/albikordzaias10dgianipati/ [14.11.2025]; „ზუგდიდელი აქტივისტი FB კომენტარში მერიის თანამშრომლისთვის „ფოჩოს" წოდების გამო 5 დღით დააპატიმრეს", „პუბლიკა", 09.07.2025, https://publika.ge/aqtivisti-fb-komentarshi-meriis-tanamshromlistvisfochos-wodebis-gamo-5-dghit-daapatimes/ [14.11.2025].

[59] საია, „პოლიტიკოსების მიმართ გამოხატული შეფასებითი მსჯელობის გამო, საქმეთა წარმოება მასობრივი ცენზურის პრეცედენტს ქმნის", 12.07.2025, https://www.gyla.ge/post/cenzuris-precendentebi-gyla [13.11.2025].

[60] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ", მუხლი 66[1].

[61] Ecodefence and Others v. Russia, 9988/13, European Court of Human Rights, 2022, para. 166.

უფლებაში ჩარევის საფუძვლად იყოს მიჩნეული.[62] თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯელობის გაგრძელების მიზნებისთვის დავუშვებთ, რომ კანონმდებლის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება შეესაბამება ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, კანონით დაწესებული შეზღუდვა ვერ ჩაითვლება ამ მიზნ(ებ)ის მისაღწევად აუცილებელ ზომად დემოკრატიულ საზოგადოებაში,[63] რადგან არ პასუხობს მწვავე საზოგადოებრივ პრობლემას.

მაუწყებლებისთვის უცხოური დაფინანსების მიღების ბლანკეტური აკრძალვა მწვავედ გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ და სახელმწიფოს მისი გაუქმებისკენ მოუწოდა. კომისიის განმარტებით, ეს რეგულაცია არ განასხვავებს ისეთ დაფინანსებას, რომელიც მართლაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, ისეთისგან, რომელიც ლეგიტიმურ ჟურნალისტურ საქმიანობას და სამოქალაქო აქტიურობას უჭერს მხარს.[64] კომისიის თანახმად, ამგვარი აკრძალვა ძირს უთხრის მედია პლურალიზმს და ვერ აკმაყოფილებს აუცილებლობისა და პროპორციულობის სტანდარტს.[65]

2.3.2. „სამართლიანობასა და მიუკერძოებლობასთან“ დაკავშირებული ახალი ბუნდოვანი ვალდებულებები

2025 წლის 1-ელ აპრილს მიღებული ცვლილებების შედეგად, მაუწყებლობის შესახებ კანონის 54-ე მუხლში, „სამართლიანობის და მიუკერძოებლობის“ ქვეშ, ახალი, ბუნდოვანი, განუჭვრეტელი ნორმები გაჩნდა, რომლებიც თვითნებური განმარტების და მაუწყებლის შინაარსობრივი კონტროლის საშუალებას იძლევა. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსის დაცვა თითოეულ პროგრამაში ან პროგრამების ციკლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ, პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე, ბალანსის დაცვა დაგეგმილია პროგრამების ციკლის განმავლობაში, ამის შესახებ აუდიტორიას უნდა ეცნობოს პროგრამის დაწყების პირველსავე დღეს“.[66] ვენეციის კომისიამ უნგრეთის მედიის კანონთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად უნდა იყოს „ბალანსი“ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება.[67] ამ მოთხოვნას აკლია სიცხადე და ქმნის კომპლექსურ ვალდებულებას.[68]

ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ტელე და რადიო მაუწყებლებზე ვრცელდება. ეს საკითხები ადრე მედიის თვითრეგულირებას ექვემდებარებოდა, მაგრამ, ცვლილებების თანახმად, ახლა მათ სრულად კომუნიკაციების კომისია გააკონტროლებს. ამ ვალდებულებების დარღვევამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გაფრთხილება, ჯარიმა, ლიცენზიის/ავტორიზაციის შეჩერება (თუ უკვე გამოყენებულია გაფრთხილება და ჯარიმა) ან გაუქმება (თუ ლიცენზიის შეჩერების ვადა გავიდა, თუმცა დარღვევა არ აღმოფხვრილა).[69] აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისია არაერთხელ დაადანაშაულეს შერჩევითი აღსრულების გამოყენებაში, მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების საქმიანობაში ჩარევასა და მათთვის არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების დაკისრებაში.[70]

გარდა ამისა, საგანგაშოა მართლმსაჯულების სისტემის ბოროტად გამოყენება და შერჩევითობა თავისუფალი გამოხატვის წინააღმდეგ. 2024 წლის აპრილ-მაისში „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს, აქტივისტებს, ჟურნალისტებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს და-

---

[62] ასეთი ლეგიტიმური მიზნები, შესაძლოა, იყოს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებების დაცვა. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

[63] Ecodefence and Others v. Russia, 9988/13, European Court of Human Rights, 2022, para. 123.

[64] VENICE COMMISSION, OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO “FOREIGN INFLUENCE”, CDL-AD(2025)034, 2025, პარ. 120; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e [29.10.2025].

[65] იქვე, იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e [29.10.2025].

[66] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 54.

[67] VENICE COMMISION, OPINION ON MEDIA LEGISLATION (ACT CLXXXV ON MEDIA SERVICES AND ON THE MASS MEDIA, ACT CIV ON THE FREEDOM OF THE PRESS, AND THE LEGISLATION ON TAXATION OF ADVERTISMENT REVENUES OF MASS MEDIA) OF HUNGARY, CDL-AD(2015)015, პარ. 50, იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)015-e [14.11.2025].

[68] იქვე.

[69] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლები 71-74.

[70] საია, „კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“, 2025 წლის თებერვალი- ივლისი, გვ. 16, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92.pdf [14.11.2025].

ემუქრნენ და თავს დაესხნენ.[71] 2024 წლის 31 მაისს საჯაროდ გამოქვეყნებული ვიდეოდან ირკვევა, რომ „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი დიტო სამხარაძე ამ ადამიანების დევნაში ჩართულ პირებს შორის იყო.[72] თუმცა, ამ ყველაფერს სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.

2.3.3. მედიის შეზღუდვა სასამართლოში

2025 წლის 26 ივნისს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში. ახალი წესები კრძალავს სასამართლოს შენობებში, დარბაზებსა და ეზოებში ფოტოგრაფირებას, გადაღებას, მაუწყებლობას, აუდიოჩაწერას და ამ უფლებას მხოლოდ სასამართლოს ან შესაბამის უფლებამოსილ პირს ანიჭებს.[73] ამ ცვლილებების მიღებამდე საზოგადოებრივ მაუწყებელს შეეძლო, თავისუფლად ჩაეწერა სასამართლოს სხდომები, გარდა სასამართლოს გადაწყვეტილებით დახურული პროცესებისა. იმავდროულად, ის ვალდებული იყო, მოთხოვნის შემთხვევაში, ჩანაწერები სხვა მედიასაშუალებებისთვის გაეზიარებინა, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სხდომას თავად არ აშუქებდა, სხვა მაუწყებელს შეეძლო, წინასწარ მიემართა მოსამართლისთვის ჩაწერაზე თანხმობის მისაღებად.

ახალი საყოველთაო აკრძალვა მოითხოვს, რომ ჟურნალისტებმა ნებართვა მიიღონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან ყოველ კონკრეტულ სხდომასთან დაკავშირებით,[74] რაც, ფაქტობრივად, ზღუდავს მედიის ხელმისაწვდომობას. საჯაროობა სამართლიანი სასამართლო პროცესის ფუნდამენტური ელემენტია და შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომის ჩაწერის უფლება აბსოლუტური არ არის, შეზღუდვები უნდა ეფუძნებოდეს კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო), მე-8 (პირადი ცხოვრება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლებით დაცული უფლებების სათანადო ბალანსს.

ეს ცვლილებები მიზნად არ ისახავს ასეთი ბალანსის დაცვას, არამედ მედიის აქტივობაზე აწესებს არაპროპორციულ შეზღუდვას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქებას. ბევრი სხდომა, მათ შორის პირველი გამოცხადების სხდომები, მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე იგეგმება, რაც მედიას არ უტოვებს საკმარის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან ნებართვის მისაღებად.[75] კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოებისთვის სხდომის ჩანაწერის ხელმისაწვდომობის ალტერნატიულ საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა არ გაიცემა ან დაგვიანდება, რაც ქმნის ბიუროკრატიულ მექანიზმს, რომელიც ეფექტიანად კრძალავს სასამართლო პროცესების ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩაწერას. პრაქტიკაში, ჟურნალისტები ვერ იყენებდნენ ამ უფლებას.

[71] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ“, 2024, გვ.19.
[72] დიმიტრი სამხარაძის მიერ გამოქვეყნებული ვიდეო, იხ. https://www.facebook.com/dito.samkharadze/videos/423357193946251/ [14.11.2025].
[73] ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 131.
[74] იქვე.
[75] საია, „აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეს სასამართლო დარბაზიდან მედია ვერ აშუქებს“, 30.06.2025, იხ. https://gyla.ge/post/mediis-shezgudva-sxdomebze-saia [14.11.2025].

თავი 3 – შეკრების თავისუფლება

2025 წელს შეკრების თავისუფლება განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი გახდა. ამ წელსაც გაგრძელდა მასზე მზარდი, ავტორიტარული შეტევა, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა: 2025 წლის 2 თებერვალს, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის მსგავსად, სახელმწიფომ ძალადობრივად დაარბია მშვიდობიანი აქცია. ამასთანავე, გამოვლინდა აქციის მონაწილეებზე მესამე პირების მხრიდან თავდასხმის არაერთი შემთხვევა. პოლიციის უმოქმედობა და შესაბამისი რეაგირების არარსებობა მიუთითებს, რომ ძალადობის ეს გამოვლინებები იყო „ქართული ოცნების“ მიერ წახალისებული და, სავარაუდოდ, მასთან შეთანხმებული. წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. „ქართული ოცნება“ აქტიურად, თვითნებურად იყენებდა ადმინისტრაციულ პატიმრობას და მაღალ ადმინისტრაციულ სანქციებს მშვიდობიან პროტესტში მონაწილეების დასასჯელად. ასევე, საგანგაშო ტენდენციად გამოიკვეთა შეკრების მონაწილეთა პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნა და მსჯავრდება.

3.1. ძალადობრივი დარბევა და შეკრება-მანიფესტაციებში მონაწილეებზე მესამე პირთა მხრიდან ძალადობა

2025 წლის 2 თებერვალს „თბილისი მოლთან“ გამართული მშვიდობიანი აქცია პოლიციამ ძალადობრივად დაშალა. აქციის დარბევას თან ახლდა ფიზიკური ძალადობა და არასათანადო მოპყრობა, რომელიც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული სისტემური არასათანადო მოპყრობის შემთხვევების მსგავსი იყო (იხილეთ ქვეთავი 6.1. „სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა“).

ხშირი იყო შეკრების მონაწილეებზე მესამე პირთა თავდასხმა როგორც შეკრების ადგილას, ისე მის მიღმა. მსგავს შემთხვევებზე პოლიციის მხრიდან ადეკვატური რეაგირების ნაკლებობა, ასევე, მმართველი პარტიის თანამდებობის პირების განცხადებები მიანიშნებს, რომ ძალადობის ეს შემთხვევები იყო „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებული ან მათ მიერ წახალისებული.

2025 წლის 8 სექტემბერს მელიქიშვილის გამზირზე „ქართული ოცნების” მხარდამჭერებმა ფიზიკურად იძალადეს მშვიდობიან დემონსტრანტებსა და მედიის წარმომადგენლებზე.[76] თავდამსხმელები მათ ფიზიკურად და სიტყვიერად უსწორდებოდნენ პოლიციელთა თანდასწრებით, რომლებსაც ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენიათ.[77] სამართალდამცავებმა არ მიიღეს საჭირო ზომები ძალადობრივი ქმედებების შესაჩერებლად და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო წყაროებში გავრცელებული კადრების მიხედვით, პოლიციას ჰქონდა შესაძლებლობა, აღეკვეთა ძალადობა და ცხელ კვალზე დაეკავებინა მოძალადე პირები.[78] მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმას გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირები და საკუთარი განცხადებებით, ფაქტობრივად, დაადასტურეს მხარდაჭერა მოძალადეთა მიმართ.[79]

წლის განმავლობაში, პერიოდულად, ხდებოდა აქციის მონაწილეებზე თავდასხმის სხვა ფაქტებიც. მაგალითად, 22 ივნისს საპროტესტო აქციაზე ავტომობილი შევარდა და აქციის მონაწილე დააზიანა; 5 მაისს აქციიდან დაბრუნებულ აქტივისტებს საცხოვრებელ კორპუსში, ლიფტთან, თავს უცნობი პირები დაესხნენ, სახეში წიწაკის სპრეი და მწვანე საღებავი შეასხეს.[80]

3.2. შეკრება-მანიფესტაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

2025 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა შეკრებებისა და მანიფესტაციების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ისედაც პრობლემური იყო.

2025 წლის თებერვალში ცვლილებები შევიდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. გაჩნდა ახალი სამართალდარღვევები, მათ შორის, აიკრძალა სახელმწიფოს წარმომადგენლის „შეურაცხყოფა“, მნიშვნელოვნად გაიზარდა სანქციები საპ-

[76] საია ეხმიანება 2025 წლის 8 სექტემბერს მელიქიშვილის გამზირზე საპროტესტო აქციის მონაწილეებზე თავდასხმას, 09.09.2025 იხ. https://www.gyla.ge/post/8-setemberi-saas-shefaseba [14.11.2025].
[77] იქვე.
[78] იქვე.
[79] იქვე.
[80] საია ვანო თარხნიშვილზე თავდასხმას ეხმაურება, 07.07.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/tavdasxma-vanotarxnishvilze-saia [14.11.2025].

როტესტო გამოხატვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის, 4-ჯერ გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა და 60 დღე შეადგინა, დაწესდა შეზღუდვები შენობაში შეკრება-მანიფესტაციასთან მიმართებით, ზედმეტად ფართოდ განიმარტა შეკრების ორგანიზატორის ცნება და ვალდებულებები, გარკვეული სამართალდარღვევები გახდა პოლიციის განსჯადი, რამაც სანქციის დაკისრება გაამარტივა.[81] ამას წინ უძღოდა 2024 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ასევე საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებით ახალი სამართალდარღვევების შემოტანას და სანქციების ზრდას ითვალისწინებდა.[82] 2025 წლის თებერვლის ცვლილებები, 2024 წლის დეკემბრის ცვლილებებთან ერთად, უარყოფითად შეაფასა როგორც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR),[83] ასევე ვენეციის კომისიამ.[84] ODIHR-მა აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა, რამდენად საჭირო იყო კოდექსში 353²-ე მუხლის დამატება, რადგანაც იგი, შესაძლოა, უკვე არსებულ 151-ე მუხლთან (მუქარა) იკვეთებოდეს ან მის დუბლირებას იწვევდეს.[85] ODIHR-მა ასევე ყურადღება გაამახვილა სანქციების მკვეთრ, დაუსაბუთებელ ზრდაზე და იმ ფაქტზე, რომ ცვლილებები არ ითვალისწინებს სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოების განსხვავებულ შედეგებს და სიმძიმის ხარისხს.[86] ოდირის შეფასებით, ასეთ არაპროპორციულ სანქციებს და დამამძიმებელ გარემოებებს, შესაძლოა, ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობაზე.[87]

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს *(მუხლი 222 – „ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება"; მუხლი 320 – „სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით")* დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, ამ მუხლების მიზნებისთვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ODIHR-ის შეფასებით, მთავრობის დადგენილებით ამ ნუსხის განსაზღვრა ეწინააღმდეგება სამართლებრივი სიზუსტის და განჭვრეტადობის პრინციპებს.[88] იქამდე კი, 31 იანვარს, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N361 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც ამ ჩამონათვალს დაემატა საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები.[89] ეს ჩანაწერი დადგენილებაში თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზასთან, „თბილისი მოლის" მიმდებარედ, 2 თებერვლის საპროტესტო აქციის დაანონსების შემდგომ შევიდა და ამ შეკრების წინააღმდეგ იყო მიმართული. დემონსტრაციასთან დაკავშირებით დაკავებულ 8 პირს ბრალი სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის საფუძველზე წარედგინა.[90]

2025 წლის ოქტომბერში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი ცვლილებებით შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემო კიდევ უფრო გაუარესდა. გარკვეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გაიზარდა სანქციები, მათ

[81] ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. „საია – „ქართული ოცნება" პროტესტის უფლების ბევრ ასპექტს სამართალდარღვევად აცხადებს – დაჩქარებული ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 05.02.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/gartuli-ocneba-protestis-uflebis-bevr-aspeqts-zgudavs [14.11.2025]; ასევე: „საია – რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" კანონში მესამე მოსმენით მიიღეს, 07.02.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-saias-shefaseba [14.11.2025].

[82] საია, „რა ცვლილებები შევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?", 16.12.2024, იხ. https://www.gyla.ge/post/ra-tsvlilebebi-shedis-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi [14.11.2025].

[83] OSCE ODIHR, URGENT OPINION ON THE AMENDMENTS TO THE LAW ON ASSEMBLIES AND DEMONSTRATIONS, THE CODE OF ADMINISTRATIVE OFFENCES AND THE CRIMINAL CODE OF GEORGIA (AS ADOPTED ON 6 FEBRUARY 2025), Opinion-Nr. FOPA-GEO/536/2025 [TN], 6 March 2025, პარ. 107. იხ. https://www.osce.org/files/f/documents/d/2/587466.pdf [14.11.2025].

[84] Venice Commission, GEORGIA URGENT OPINION ON AMENDMENTS TO THE CODE OF ADMINISTRATIVE OFFENCES AND THE LAW ON ASSEMBLIES AND DEMONSTRATIONS, Opinion No. 1226/2024, იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2025)004-e [14.11.2025].

[85] OSCE ODIHR, URGENT OPINION ON THE AMENDMENTS TO THE LAW ON ASSEMBLIES AND DEMONSTRATIONS, THE CODE OF ADMINISTRATIVE OFFENCES AND THE CRIMINAL CODE OF GEORGIA (AS ADOPTED ON 6 FEBRUARY 2025), Opinion-Nr.: FOPA-GEO/536/2025 [TN], 6 March 2025, პარ. 107. იხ. https://www.osce.org/files/f/documents/d/2/587466.pdf [14.11.2025].

[86] იქვე.

[87] OSCE ODIHR, URGENT OPINION ON THE AMENDMENTS TO THE LAW ON ASSEMBLIES AND DEMONSTRATIONS, THE CODE OF ADMINISTRATIVE OFFENCES AND THE CRIMINAL CODE OF GEORGIA (AS ADOPTED ON 6 FEBRUARY 2025), Opinion-Nr.: FOPA-GEO/536/2025 [TN], 6 March 2025, პარ. 107. იხ. https://www.osce.org/files/f/documents/d/2/587466.pdf [14.11.2025].

[88] იქვე, პარ. 106.

[89] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N361 დადგენილება სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

[90] „პუბლიკა", „თბილისი მოლთან" დაკავებულ 8 პირს სასამართლომ საპატიმრო გირაო შეუფარდა", 05.02.2025; იხ. https://publika.ge/tbilisi-moltan-dakavebul-8-pirs-sasamartlom-sapatimro-girao-sheufarda/ [24.10.2025].

შორის, შეკრებაზე სახის დაფარვისა და ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვისთვის ადმინისტრაციული სახდელის ერთადერთ ფორმად ადმინისტრაციული პატიმრობა[91] განისაზღვრა.[92] სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, *შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევისა და პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის* ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირს იმავე ქმედების ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.[93] ეს ცვლილებები ძირს უთხრის შეკრების თავისუფლებას და ამ უფლებით სარგებლობის ეფექტიან კრიმინალიზებას ემსახურება. ისინი მკაცრად გააკრიტიკა ODIHR-მაც და აღნიშნა, რომ ცვლილებები შემაშფოთებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან შეუსაბამობის გამო და უნდა გაუქმდეს.[94]

3.3. შეკრების თავისუფლების კონტექსტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართალწარმოება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არაერთ განცხადებაში მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული წარმოებები, როგორც წესი, გამოიყენება შეკრებასა და მანიფესტაციებში მონაწილე პირების მიმართ მსუსხავი ეფექტის გამოსაწვევად და დემონსტრანტების დასაშინებლად.[95] ამას მოწმობს ამგვარ წარმოებათა სიმრავლე.

საიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან 2025 წლის 18 სექტემბერს გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1]-ე მუხლის მე-5 ნაწილთან [96]და 173[16]-ე მუხლთან[97] დაკავშირებულ საქმეთა ოდენობაზე.[98] არცერთ უწყებას საიასთვის ეს ინფორმაცია არ მიუწოდებია. სასამართლომ მიზეზად დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობითი ხასიათი დაასახელა,[99] შინაგან საქმეთა სამინისტროს კი წერილზე რეაგირება საერთოდ არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელისა და ცხელი ხაზის ბაზის მეშვეობით წვდომა აქვს სტატისტიკაზე, რომელიც წარმოაჩენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული წარმოებების სიმრავლეს.

ქსელის ცხელ ხაზზე 2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 10 სექტემბრამდე პერიოდში შემოსულია **8 500 -ზე მეტი ზარი.[100] 2 000-მდე პირის** მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სხვადასხვა საფუძვლით შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

- **544 პირი** იყო ადმინისტრაციული წესით დაკავებული.
- **458 დაკავებულის** მონახულება შეძლეს ქსელის ადვოკატებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

---

[91] ადმინისტრაციული პატიმრობის ნაცვლად ჯარიმის გამოყენება კვლავ შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალს, დედას, რომელსაც ჰყავს 12 წლამდე ასაკის ბავშვი, 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირს, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.

[92] იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, მიღების თარიღი – 16.10.2025, დოკუმენტის ნომერი – 993-IVმს-XIმპ. ასევე, იხ. „საია – „ქართული ოცნება“ ავტორიტარულ კანონშემოქმედებას შეკრების თავისუფლების კრიმინალიზების ინიციატივით აგრძელებს“, 13.10.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/GYLA-avtoritaruli-kanonshemoqmedebis-shepaseba [14.11.2025].

[93] იქვე.

[94] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as adopted on 16 October 2025), Opinion-Nr.: FOPA-GEO/564/2025 [ALC/TN], იხ. https://www.osce.org/odihr/601503, [18.11.2025].

[95] საია, „შინაგან საქმეთა სამინისტრო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სახის ამომცნობ ტექნოლოგიებს ტოტალური კონტროლისთვის იყენებს“, 12.03.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saxis-amomcnobi-kamerebi-saia [14.11.2025].

[96] ეს მოიცავს, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-11 მუხლებით (გარდა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“–„გ“ და „ე“–„ზ“ ქვეპუნქტებისა) გათვალისწინებული ნორმების დარღვევას.

[97] „საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მასზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით.“

[98] საიას 2025 წლის 18 სექტემბრის წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, Nგ-04/52-25; საიას 2025 წლის 18 სექტემბრის წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს, Nგ-04/51-25.

[99] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 23 სექტემბრის წერილი N3-0458/11816178.

[100] ამ ანგარიშის მომზადების მიზნებისთვის სტატისტიკა, არჩევნების შემდგომ დაწყებული საპროტესტო აქციებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი იყო 2024 წლის 19 ნოემბრიდან 10 სექტემბრამდე პერიოდისთვის.

- **1400-მდე** პირს დაეხმარნენ ქსელის ადვოკატები მათ წინააღმდეგ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებაში.[101]

ზემოთ მოყვანილი მონაცემები არ არის სრულყოფილი, ვინაიდან სტატისტიკა ემყარება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელში შემოსულ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მხრიდან გამოიკვეთა დაკავების, როგორც უკიდურესი ღონისძიების, თვითნებური გამოყენების პრაქტიკა როგორც დემონსტრანტების, ისე კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების მიმართ.[102] თვითნებური დაკავება, ზოგ შემთხვევაში, უკავშირდებოდა, მაგალითად, პარლამენტთან სკამის მიტანას ან ტაშის დაკვრას.[103]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ, თუ ადამიანის ქმედება (ამ შემთხვევაში, მისი გამოხატვა) არ არის ძალადობრივი, მიზნად არ ისახავს ძალადობას და არ აქვს რესურსი, გადაიზარდოს მოვლენათა ესკალაციაში, მის წინააღმდეგ დაკავების ინიციირება უკანონოა.[104] ევროპულ სასამართლოს ასევე განმარტებული აქვს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროა მეტი ტოლერანტობის გამოვლენა იმ პირების მიმართ, რომლებიც გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებებს, თუნდაც ისინი გამოხატული იყოს გაუმართავად ან ემოციური ფორმით.[105] მნიშვნელოვანია, რომ უკანონო დაკავებებს ხშირად თან ახლავს არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. საიას აზრით, შსს-ს მხრიდან დაკავების დანაშაულებრივ პრაქტიკას სისტემური ხასიათი აქვს.[106]

უკანონო დაკავებებთან ერთად, 2025 წელს გამოვლინდა პოლიციის მხრიდან მოქალაქეების შეჩერებისა და უკანონო ჩხრეკის გახშირებული პრაქტიკა. როგორც წესი, პოლიცია მოქალაქეებს უმიზეზოდ აჩერებდა ზედაპირული შემოწმების საბაბით, თუმცა განხორციელებული მოქმედებები (ზურგჩანთის გახსნა, ჩანთიდან ნივთების ამოლაგების მოთხოვნა) სცდება ზედაპირული შემოწმების ფარგლებს.[107]

2025 წლის ოქტომბერში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ ცვლილებებს (იხილეთ ქვეთავი 3.2.) აქციის მონაწილეთა დაკავებისა და სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის ახალი ტალღა მოჰყვა. ამას ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 26 ოქტომბრის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბოლო სამ დღეში აქციის 60 მონაწილე დააკავეს.[108]

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სიმრავლეს ცხადყოფს ისიც, რომ მხოლოდ 24 ოქტომბერს სასამართლომ 37 პირის საქმე განიხილა, რომელთაგან უმეტესობას ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.[109] 16 ოქტომბრის შემდეგ ასევე მასობრივი იყო რუსთაველისა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე პირბადეების ტარების გამო პირთა შეჩერება, მათ მიმართ ოქმის შედგენა და ნივთის ჩამორთმევა.[110]

---

[101] არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის საქმიანობის შედეგები, საია, 21.10.2025, https://www.facebook.com/photo/?fbid=1251409307031089&set=pcb.1251411433697543 [14.11.2025].

[102] საია ეხმიანება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან, მოქალაქის კრიტიკის საპასუხოდ, მისი დაკავების მცდელობას, 11.07.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/moqalaqis-mimart-dzalis-gadameteba-saia [14.11.2025].

[103] საია პარლამენტის წინ სტუდენტების დაკავებას ეხმაურება, 21.03.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saia-parlamntis-wit-studentebis-dakavebas-examureba [14.11.2025].

[104] Chkhartishvili v. Georgia, 31349/20, European Court of Human Rights 11/05/2023.

[105] Chkhartishvili v. Georgia, 31349/20, European Court of Human Rights 11/05/2023, 1484/07, 02/10/2012, §89. ციტ: Hyde Park and Others v Moldova, nos. 5 and 6, nos 6991/08 and 15084/08, European Court of Human Rights, 14 September 2010, § 43; Nilsen and Johnsen v Norway, no 23118/93 European Court of Human Rights, 25 November 1999, §§ 52–53.

[106] საია მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ზვიად ხარაზიშვილის მიმართ და შეუჩერდეს უფლებამოსილება, 02.02.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saia-kharazishvilis-siskhlis-samartlebriv-debvnas-itxovs [14.11.2025].

[107] საია, „შსს უკანონო ჩხრეკისა და დაკავების პრაქტიკას კვლავ აქტიურად იყენებს მოქალაქეების წინააღმდეგ“, 07.04.2025 იხ. https://www.gyla.ge/post/ukanono-chxreka [14.11.2025].

[108] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 2025 წლის 26 ოქტომბერი, იხ. https://police.ge/news/shinagan-sakmeta-saministros-gantskhadeba-30/10078 [14.11.2025].

[109] „გუშინ 37 მოქალაქე გასამართლდა სამშობლოს სიყვარულისთვის“, „protest 24“, 2025 წლის 25 ოქტომბერი, https://www.facebook.com/photo/?fbid=122202794654330944&set=a.122100419156330944 [14.11.2025].

[110] „ფორმულა“, „პოლიციამ რუსთაველზე ადამიანებს პირბადის ტარებისთვის ოქმი შეუდგინა“, 19.10.2025 იხ. https://formulanews.ge/News/129567 [14.11.2025]; „პუბლიკა“, 2025 წლის 19 ოქტომბრის ფეისბუქ-პოსტი, იხ. https://www.facebook.com/publika.ge/posts/-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1

პირველი ნოემბრის მონაცემებით, რომელსაც ონლაინმედია „პუბლიკა“ ავრცელებს, ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, 15 დღის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 130-მდე ადამიანი დააკავა. აქედან, სულ მცირე, 57 ადამიანს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.[111]

ეს მონაცემები დაკავებების მასშტაბს სრულად ვერ ასახავს, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუსტი ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია, ხოლო ადმინისტრაციული დაკავებების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ამის პარალელურად, 2025 წლის 3 ნოემბერს გამოვლინდა პირველი შემთხვევა, როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, კონკრეტულად კი, გზის უკანონოდ გადაკეტვის განმეორებით ჩადენის გამო, პირს სისხლის სამართლის წესით ბრალი წარუდგინეს.[112]

3.4. სახის ამომცნობი კამერების გამოყენება, როგორც ადმინისტრაციული დაჯარიმების მექანიზმი

საჯარო წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ სსიპ-მა „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112” შეისყიდა სახისა და ემოციების ამომცნობი 30 კამერა.[113] ასეთი კამერების პრაქტიკაში გამოყენებას ადამიანის უფლებებისთვის დამაზიანებელი მიზნით მასობრივი ხასიათი აქვს ავტოკრატიულ/ტოტალიტარულ რეჟიმებში. „Human Rights Watch“-ის შეფასებით, ასეთი ტექნოლოგიები არღვევს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლებას, არამედ, ასევე, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებებსაც.[114] საიამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს 2025 წლის თებერვალში მოუწოდა, გამოეკვლია და შეესწავლა კამერის მონაცემების გამოყენებისა და დამუშავების კანონიერება.[115]

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამართალდარღვევის საფუძვლით დაწყებული საქმეების წარმოებისას, მასობრივად იყენებს სახის ამომცნობი კამერების მასალებს აქციის მონაწილეების წინააღმდეგ. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით შეინიშნება გზის გადაკეტვასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევის საქმეებში, რომლებშიც ერთადერთი მტკიცებულება, როგორც წესი, სახის ამომცნობი კამერებიდან ამოღებული ფოტოებია. სასამართლო ამ ფოტოებს, შესაბამისი კონტექსტის იგნორირებით, საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს პირის სამართალდამრღვევად ცნობისთვის. გარდა ამისა, უმეტესად, არ აფასებს, რამდენად კანონიერად მოხდა ადამიანის იდენტიფიცირება, ან პირს, რომელმაც იდენტიფიცირება მოახდინა, ჰქონდა თუ არა სათანადო დაშვება სპეციალურ ბაზებთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პრაქტიკა მიზანმიმართულად გამოიყენება მოქალაქეთა დასაშინებლად და აქციის მონაწილეთა სამომავლო ქცევის კონტროლისთვის. ამასთანავე, მას აქვს „მსუსხავი ეფექტი“, რაც, შესაძლოა, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თვითშეზღუდვაში აისახოს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთი საქმის მასალებში არსებული ვიდეომტკიცებულებით დგინდება, რომ ვიდეოკამერით თვალს ადევნებენ კონკრეტულ პირებს იმგვარად, რომ შესაძლებელია მათი პერსონალური დოკუმენტების შინაარსის წაკითხვა.[116]

%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90/1582574419808769/ [14.11.2025]; იუთუბ-მომხმარებლის ვიდეო, https://www.youtube.com/shorts/l7sjfNqi2P4 [14.11.2025].

[111] „პუბლიკას“ ინგლისურენოვანი ინსტაგრამ-გვერდი – Publikaenglish, 01.11.2025, https://www.instagram.com/publikaenglish/p/DQe2KVRDtEp/ [14.11.2025].

[112] საია ეხმიანება რუსთაველის პროტესტის მონაწილეთა სისხლისსამართლებრივ დევნას, 04.11.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/Rustavelis-protestis-sisxlissamartelbrivi-devna-GYLA [14.11.2025].

[113] „რადიო თავისუფლება“, 112-მა პარლამენტთან აქციების ფონზე სახის და ემოციების ამომცნობი 30 კამერა იყიდა, 14.12.2024, https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1/33239681.html [14.11.2025].

[114] Amnesty International, Amnesty International and more than 170 organisations call for a ban on biometric surveillance, 07.06.2021, იხ. https://www.amnesty.org/en/latest/press-release/2021/06/amnesty-international-and-more-than-170-organisations-call-for-a-ban-on-biometric-surveillance/ [14.11.2025].

[115] „საია მოუწოდებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, შეისწავლოს შსს-ს მიერ სახის ამომცნობი კამერების გამოყენების პრაქტიკა“, 10.02.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saia-mowodeba-sheswavlil-iqnes-amomcnobi-kamerebis-gamoyenebis-praqtika [14.11.2025].

[116] საია, „შინაგან საქმეთა სამინისტრო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სახის ამომცნობ ტექნოლოგიებს ტოტალური კონტროლისთვის იყენებს“, 12.03.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saxis-amomcnobi-kamerebi-saia [14.11.2025].

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებისა და პირდაპირ რეჟიმში თვალთვალის ანალოგიური პრაქტიკა შეფასებული აქვს, როგორც ჩარევა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებაში. სასამართლოს განმარტებით, ამ სახის ტექნოლოგიის გამოყენება გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში არ შეესაბამება სამართლის უზენაესობის პრინციპით მართული დემოკრატიული საზოგადოების იდეალებსა და ღირებულებებს.[117] ODIHR-ის შეფასებით, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს სახის ამომცნობი და სხვა ბიომეტრიული ტექნოლოგიის გამოყენებისგან მათ მიმართ, ვინც მშვიდობიანად მონაწილეობს შეკრებებში.[118] ODIHR-ის თანახმად, უნდა არსებობდეს მძლავრი, ადამიანის უფლებებთან შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ეფექტიანად დაიცავს პირადი ცხოვრების უფლებას, მათ შორის, სახის გამოსახულების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტში.[119] კონკრეტულად კი, უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს, გაიგონ, მოიპოვეს და შეინახეს თუ არა მათ შესახებ ინფორმაცია და რა ტიპის ინფორმაციაა ეს.[120] მათ ასევე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, გაასაჩივრონ მათი პერსონალური ინფორმაციის მოპოვება, შენახვა და დამუშავება.[121]

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ საქმის მასალებში ხშირად მტკიცებულების სახით არსებობს შსს-ს მიერ 112-იდან ვიდეოჩანაწერების გამოთხოვნის თაობაზე წერილი, რომელშიც ზუსტად არის მითითებული კამერა, საათი და წუთი, როდესაც მოქალაქე სამანქანო გზის ნაწილზე დგას. ეს წერილები აჩენს ეჭვს, რომ შსს-ს წარმომადგენელს წვდომა აქვს კამერის ჩანაწერებზე, რადგან მათი მოთხოვნისას ზუსტად იცის, რომელ საათსა და რომელ წუთზე რომელი კამერის ჩანაწერი სჭირდება. საიას შეფასებით, ეს ფაქტი მიუთითებს შსს-ს მიერ პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე მოპოვებასა და დამუშავებაზე.

საიამ რამდენჯერმე მოუწოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, შეესწავლა, შეფასდა თუ არა წინასწარ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენა და რამდენად აღირიცხება ამ კუთხით განხორციელებული მოქმედებები, ასევე, შეესაბამება თუ არა მოქმედ კანონს უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რამდენად კანონიერად ხორციელდება სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაცულ ინფორმაციაზე სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაშვება და თავსებადია თუ არა დაშვების დონეები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან.[122] თუმცა, ამ დრომდე უცნობია სამსახურის შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის გამზირზე განთავსებული 112-ის ვიდეოკამერები მტკიცებულებად შერჩევითად გამოიყენება აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, რასაც ადასტურებს თორნიკე თოშხუასა და მინდია შერვაშიძის სისხლის სამართლის საქმე. ამ პროცესს საია სისხლის სამართლის მონიტორინგის ფარგლებში აკვირდება. 18 აგვისტოს, პირველი წარდგენის სხდომაზე, ბრალდებულები მიუთითებდნენ, რომ „დაზარალებული“ რუსთაველზე იმყოფებოდა ცივი იარაღით, რომელიც ხელიდან გაუვარდა და პოლიციის თანამშრომლებმა, აქციის მონაწილეების ზემოქმედებით, ის მტკიცებულებად ამოიღეს. ადვოკატმა მიუთითა ლუქის ნომერზე, რომელიც პროკურატურის მიერ გადაცემულ მასალებში არ ჩანდა. პროკურორის განმარტებით, საქმეში არსად იკვეთება ცივი იარაღი. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უწყებამ ეფექტიანად ვერ გამოიყენა ვიდეოჩანაწერები, რომლებშიც, წესით, ადვოკატისა და ბრალდებულების მიერ მითითებული გარემოებები, კონკრეტულად კი, პოლიციელთა მხრიდან დანის დალუქვის ფაქტი უნდა ჩანდეს. აღსანიშნავია, რომ პროკურორის მტკიცე პოზიციის მიუხედავად, რომ საქმეში დანა არ ფიგურირებდა, მოგვიანებით, საქმის მასალებში გამოჩნდა დალუქული დანა, რომელზეც ბრალდებულები პირველი წარდგენის სხდომაზე მიუთითებდნენ.[123] საინტერესოა, რომ აღწერილი გარემოება სრულ ვიდეოჩანაწერში თავიდანვე უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი, თუმცა პროკურატურამ ის მხოლოდ მოჭრილი ფორმატით გამოიყენა.

[117] GLUKHIN v. RUSSIA,. 11519/20, European Court of Human Rights, 2023.
[118] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as adopted on 16 October 2025), Opinion-Nr.: FOPA-GEO/564/2025 [ALC/TN], პარ. 97. იხ. https://www.osce.org/odihr/601503 [18.11.2025].
[119] იქვე.
[120] იქვე.
[121] იქვე.
[122] „საია მოუწოდებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, შეისწავლოს შსს-ს მიერ სახის ამომცნობი კამერების გამოყენების პრაქტიკა“, 10.02.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saia-mowodeba-sheswavlil-iqnes-amomcnobi-kamerebis-gamoyenebis-praqtika [14.11.2025].
[123] “ნეტგაზეთი, თორნიკე თოშხუასა და მინდია შერვაშიძეს პატიმრობა შეუფარდეს, 18.08.2025, https://netgazeti.ge/life/782951/ [09.12.2025].

თავი 4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

2025 წელს პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება ერთ-ერთ საგანგაშო ტენდენციად გამოიკვეთა.

საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2024-2025 წელს აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით ბრალი წარედგინა, ჯამში, 147 აქტივისტსა და პოლიტიკოსს (მათ შორის, 2025 წლის 4 ოქტომბრის მოვლენების შემდგომ დაკავებულია 66 პირი).[124] 69 პირის მიმართ მიმდინარე 300-მდე სხდომაზე დაკვირვების შედეგად, საიამ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოავლინა, რის შესახებაც ორგანიზაციამ სპეციალური ანგარიში მოამზადა.[125] სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვებამ აჩვენა, რომ აქტივისტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გამოყენება მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტული შესაძლო დანაშაულის აღკვეთის, არამედ, ასევე, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლისკენ. ყველა საქმეზე მონიტორინგი განგრძობადად მიმდინარეობს.

4.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება შეკრების თავისუფლების კონტექსტში

2024-2025 წლების განმავლობაში 12 პოლიტიკოსსა და აქციის 137 მონაწილეს წარუდგინეს ბრალი სხვადასხვა მუხლით.

4.1.1. სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი 2024 წლის გაზაფხულიდან 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით

2024 წლის გაზაფხულის, ასევე, 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ აქციების კონტექსტში დაკავებული 69 პირის (მათ შორის, 3 ქალია) საქმეების მონიტორინგის (2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით) შედეგების მიხედვით, აქტივისტებს **ბრალი უმეტესად ედებათ ისეთი დანაშაულებისთვის,** როგორებიცაა: ჯგუფური ძალადობის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა; აფეთქების მომზადება; პოლიციელზე თავდასხმა; ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით; სტრატეგიული ობიექტის ბლოკირების მცდელობა და სხვა.

- **აღკვეთის ღონისძიებები**

აქციების კონტექსტში დაკავებულ პირთა მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო თითქმის ყოველთვის, პირველ ეტაპზე, **ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეს – პატიმრობას იყენებდა**. მოსამართლე აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების შეფარდების თაობაზე ბრალდებულების ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე, როგორებიცაა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები.

საიას შეფასებით, აქტივისტებისთვის შეფარდებული დაუსაბუთებელი, გრძელვადიანი პატიმრობა ემსახურებოდა არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს, არამედ აქციებში მონაწილეთა დასჯას ან/და მათზე ზემოქმედებას.

საიას მიერ განხორციელებული სასამართლოს მონიტორინგის შედეგები, წლებია,[126] ავლენს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არ ხდება. პრაქტიკაში, პატიმრობასთან მიმართებით იკვეთება ორი პრობლემური საკითხი: პატიმრობის შეფარდების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები.

[124] დეტალურად იხილეთ თანდართული ცხრილი.

[125] საია, „2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები“, 2025, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024-2025%20wlebSi%20politikurad%20motivirebuli%20saqmeebi_geo.pdf [14.11.2025].

[126] საიას სისხლის სამართლის მონიტორინგის ყველა ანგარიში, მონიტორინგის 15-წლიანი გამოცდილების განმავლობაში, ხელმისაწვდომია საიას ვებგვერდზე: www.gyla.ge.

- **არასათანადო მოპყრობის შემთხვევები**

სისხლის სამართლის წესით დაკავებულ დემონსტრანტთა 19% (13 პირი) პროცესზე უთითებდა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე, რომლებიც, თავისი არსით, უთანაბრდება საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ და სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებს (მათ შორის, გარემოებების მიხედვით, თითოეული შეიძლება გაუთანაბრდეს სსკ-ის 144[1]-ე, 144[2]-ე, 144[3]-ე მუხლებით გათვალისწინებულ წამებას, წამების მუქარას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას).

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითეს: საბა სხვიტარიძემ, რევაზ კიკნაძემ, ნიკოლოზ კაციამ, ანატოლი გიგაურმა, დავით ხომერიკმა, დავით ლომიძემ, თემურ ზასოხაშვილმა, არჩილ მუსელიანცმა, ანასტასია ზინოვკინამ, არტემ გრიბულმა, თევდორე აბრამოვმა, ალექსანდრე ელისაშვილმა და მზია ამაღლობელმა.

ამასთანავე, რამდენიმე ბრალდებული მიუთითებდა პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: სიცხე და არასათანადო ვენტილაცია; საკანში ტარაკნების არსებობა; წყლისა და კანალიზაციის პრობლემები; რამდენიმე პატიმარი ასევე საუბრობდა დაწესებულებაში არასათანადო სამედიცინო დახმარების თაობაზე.

არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება ხასიათდება არაეფექტიანობით. თავის დროზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ (2025 წლის 1-ლი ივლისი) – პროკურატურას არ გამოუვლენიათ პასუხისმგებელი პირები. მათ შორის, 13-იდან 12 პირს (საიას ინფორმაციით, დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ საბა სხვიტარიძეს მიენიჭა) დაზარალებულადაც კი არ აღიარებს პროკურატურა.

- **პროცესების საჯაროობა**

2025 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გამწვავდა სისხლის სამართლის პროცესების გამჭვირვალობისა და საჯაროობის კუთხით არსებული გამოწვევები. აქტივისტების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე, პირველ ეტაპზე, საჯაროობა იზღუდებოდა ინდივიდუალური მოსამართლეების თვითნებობით ან/და პროცესების მცირე დარბაზში ჩატარებით, რაც დაინტერესებულ პირებს სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას ართმევდა. შემდგომ შეიზღუდა მედიების მხრიდან პროცესების გაშუქება და გაუარესდა კანონმდებლობა სასამართლოს გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, მედიას, პრაქტიკულად, სრულად შეეზღუდა სასამართლო სხდომების გაშუქება (დეტალურად იხილეთ თავი 2). **დათქმა, რომ სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ასევე ტრანსლაცია, შეიძლება დაშვებული იყოს ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით, პრაქტიკაში არ ამუშავდა.** არაერთი მედიასაშუალების მიმართვის მიუხედავად, მიეღოთ ნებართვა აქტივისტების სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო სხდომების გაშუქების თაობაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უკუკავშირიც კი არ ჰქონია.

პრობლემები შეინიშნებოდა სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებითაც. დემონსტრანტების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ იყო განთავსებული სასამართლოს ვებგვერდსა ან/და სასამართლოს შენობაში ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ მონიტორზე.

- **დაცვის უფლება**

აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეებზე, ზოგ შემთხვევაში, ასევე გამოვლინდა **დაცვის უფლების შეზღუდვაც.**

თერთმეტი პირის საქმეზე მოსამართლემ ყველა ბრალდებულს უსაფუძვლოდ, სავალდებულო წესით დაუნიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, მაშინ, როდესაც, ერთის გარდა, ყველა მათგანის ადვოკატი სხდომას ესწრებოდა და აცხადებდნენ, რომ არ სურდათ საქმეში ახალი ადვოკატების ჩართვა. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა ამ ქმედების კანონიერი საფუძველი. პრევენციულად საზოგადოებრივი ადვოკატის

დანიშვნას კი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ამასთანავე, მხედველობაში მისაღებია ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ნდობის ფაქტორი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ნდობას. ბრალდებულთა მიერ სხდომაზე გაცხადებული პოზიციით, მათ უკვე ჰყავდათ კერძო, შეთანხმებით მოწვეული ადვოკატები.

დემონსტრანტების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში გამოიკვეთა თარჯიმნებთან დაკავშირებული პრობლემებიც. თარჯიმნის არაკვალიფიციურობა ან თარგმნის პროცესში გამოვლენილი არსებითი ხარვეზები პირდაპირ ზღუდავს ბრალდებულის უფლებებს, განსაკუთრებით, დაცვის ეფექტიანი განხორციელებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა, გაიგოს მის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის შინაარსი, მათ შორის, ბრალდების ფორმულირება, მტკიცებულებების შეფასება და მოწმეების ჩვენებები, იგი ვერც საკუთარი პოზიციის გამოხატვას ახერხებს და ვერც დაცვის მექანიზმებს იყენებს ადეკვატურად.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც, დაცვის მხარის განმარტებით, თარჯიმნის მიერ განხორციელებული თარგმანი არ ემსახურებოდა ბრალდებულის ინტერესებს და იყო მნიშვნელოვნად არასაკმარისი ან არასათანადო. გამოწვევები უკავშირდებოდა როგორც თარგმნის ხარისხს, ასევე ნეიტრალურობისა და ეთიკური სტანდარტების დარღვევას, რაც არსებითი ბარიერი იყო პროცესში ბრალდებულის სრულფასოვანი მონაწილეობისა და დაცვის უფლების რეალიზებისთვის.

- **განაჩენები და სასჯელები**

აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიდგომა, ძირითადად, მკაცრია, რაც, მათ შორის, გამოიხატებოდა **უმეტესად გამამტყუნებელ განაჩენებსა და ე.წ. საპატიმრო სასჯელებში.**

აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე ყველა სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა, გარდა გიორგი ახობაძის, თევდორე აბრამოვის და ნიკოლოზ კაციას საქმეებისა, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა.

რამდენიმე საქმეზე სასამართლომ წარდგენილი ბრალდებები გადააკვალიფიცირა. კონკრეტულად, ანატოლი გიგაურის, ე.წ. რვა და თერთმეტპირიან საქმეებზე მოსამართლეებმა წარდგენილი ბრალდებები უფრო მსუბუქ მუხლებზე გადააკვალიფიცირეს, ხოლო ერთ შემთხვევაში, საბა სხვიტარიძის საქმეზე, თავად პროკურატურამ შეცვალა კვალიფიკაცია - ნაცვლად სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისა (რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს), მას ბრალი 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) შეუცვალა.

ბრალი გადაუკვალიფიცირდა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელსაც – ნაცვლად სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლისა (პოლიციელზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა), მოსამართლემ განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) დაადგინა.

სასამართლომ „რუსული კანონის“ პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირთა მიმართ სასჯელის სახედ 10-იდან 8-ს ე.წ. საპატიმრო სასჯელი განუსაზღვრა. რაც შეეხება 2025 წლის ნოემბერი-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებულ პირებს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა მსჯავრდადებულს სასჯელის სახედ და ზომად ე.წ. საპატიმრო სასჯელი - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში აქტივისტების მიმართ მიმდინარე იმ საქმეების განხილვებმა, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულებს უკავშირდებოდა, გამოავლინა, რომ, უმეტესად, საქმეში არ მოიპოვებოდა **ნეიტრალური მტკიცებულება,** ხოლო, ზოგ შემთხვევაში, პროკურატურის მიერ ნეიტრალურ მოწმეებად წარმოჩენილი პირების ნეიტრალურობა ეჭვს იწვევდა. გარდა ამისა, ბრალდების მხარე არ წარადგენდა ვიდეომტკიცებულებებს მაშინაც კი, როცა შესაძლებელი იყო გარე პერიმეტრზე არსებული იმ ვიდეოჩანაწერების გამოთხოვნა, რომლებზეც, სავარაუდოდ, აღბეჭდილი იქნებოდა ჩხრეკა-ამოღების პროცესი. ამასთანავე, ზოგიერთ საქმეში კითხვის ნიშნებს აჩენდა ის ვიდეომტკიცებულებები, რომლებიც ჩხრეკის ჩატარებას ასახავდა.

- **უდანაშაულობის პრეზუმფცია**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაკვირვებით, აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებზე განაჩენების დადგენამდე ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა არაერთი საჯარო განცხადება, რომლებიც არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები მიმდინარე საქმეებში არ წარმოადგენდნენ მხარეს, შესაბამისად, მათ არ უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების შესახებ. ეს განცხადებები,[127] გარდა იმისა, რომ ლახავდა ბრალდებულების უდანაშაულობის პრეზუმფციას, ემსახურებოდა, მცდარი ინფორმაციის გავრცელების გზით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ბრალდებულთა მიმართ გარკვეული ნეგატიური წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, ეს განცხადებები ასევე შეიძლება, ერთგვარად, აღქმულიყო, როგორც სასამართლოსადმი მითითება, გამოეტანათ გარკვეული ტიპის, მმართველი გუნდისთვის მისაღები გადაწყვეტილებები.

- **პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა**

სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა, აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. ამასთანავე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც, პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. კონკრეტულად: პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი დევნის დაწყება კონკრეტულ შემთხვევაში.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წელების სტრატეგიის დოკუმენტშიც საუბარია იმაზე, რომ „[...] ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოების მიზნით შემუშავდება და განახლდება რეკომენდაციები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების და საპროკურორო საქმიანობის სხვა აქტუალურ საკითხებზე. რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენებისა და მათი ეფექტიანობის დადგენის მიზნით პერიოდულად მოხდება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი [...]“.[128]

სტრატეგიის დოკუმენტის მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის პოლიტიკაში პოზიტიური ცვლილებების ნიშნების ნაცვლად, ზოგ მიმართულებაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების მხრივ პროგრესი მანამდეც მინიმალური იყო — ეს კომპონენტი, წლებია, „ეფექტიანი“ ფორმულირებაა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, რომელიც პრაქტიკაში, რიგითი პროკურორის ხელში, იშვიათად თუ იქცევა რეალურად ქმედით სამართლებრივ ინსტრუმენტად.

ამასთანავე, **სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებით,** „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ, დემონსტრაციულად გამოხატა, რომ არ აპირებს საპოლიციო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოძიებას, ევროკავშირთან ასოცირების პროცესში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებას. **საგანგაშოა, რომ აქციების დროს აქტივისტების და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე არცერთი პირის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა.**

[127] „რადიო თავისუფლება“, „მზია ამაღლობელი კობახიძეს, მდინარაძეს და სუბარს ცილისწამებისთვის უჩივის“, 07.05.2025, იხ. მზია ამაღლობელი კობახიძეს, მდინარაძეს და სუბარს ცილისწამებისთვის უჩივის [14.11.2025]; „საქართველოს ამბები“, „ირაკლი კობახიძემ გაიმეორა, რომ მზია ამაღლობელი „კონკრეტულ დაკვეთას“ ასრულებდა“, 10.07.2025, იხ. ირაკლი კობახიძემ გაიმეორა, რომ მზია ამაღლობელი „კონკრეტულ დაკვეთას“ ასრულებდა [14.11.2025]; „მთის ამბები“, „ივანიშვილის პრემიერის ცრუ განცხადებები მზია ამაღლობელზე“, 17.05.2025, იხ. https://www.facebook.com/mtisambebi/videos/8991738330928136/ [14.11.2025].

[128] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2022-2027 წლები), გვ. 16, იხ. php6EGZ3a.pdf [14.11.2025].

4.1.2. სისხლის სამართლის საქმეები 2025 წლის 4 ოქტომბრის შემდგომ

სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა გაიზარდა 4 ოქტომბრის მოვლენების შემდგომაც.

4 ოქტომბრის კონტექსტში სისხლის სამართლის წესით ბრალი წარედგინა 66 პირს (4 მათგანი ქალია). მათ, უმეტესად, ბრალი ედებათ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებაში, სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდებისა და ბლოკირების მცდელობაში ჯგუფურად, პოლიციის მიმართ წინააღმდეგობაში.

- **არასათანადო მოპყრობის შემთხვევები**

დაკავებულთაგან ოთხი პირი მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის თაობაზე. **დავით ჟღენტმა, თორნიკე მჭედლიშვილმა, ვახტანგ ფიცხელაურმა და ამირან დოლიშვილმა ისაუბრეს ძალადობის, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და მუქარის, მათ შორის, გაუპატიურების მუქარის შესახებ.**

თორნიკე მჭედლიშვილმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ დაკავების შემდგომ, გურჯაანიდან წამოყვანისას, მიაყენეს მძიმე ვერბალური შეურაცხყოფა, აგინეს, ასევე, იყო მუქარა, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და გაუპატიურების შესახებ.[129]

ვახტანგ ფიცხელაურმა განაცხადა, რომ მისი უფლებები დაირღვა დაკავებისას. ის ორჯერ დააკავეს – ჯერ ადმინისტრაციული და შემდეგ სისხლის წესით. მის მიმართ გამოვლინდა ძალადობა და შეურაცხყოფა, მათ შორის, ოჯახის მიმართულებით.[130] იგი გადმოათრიეს მანქანიდან, ათრიეს გარკვეულ მანძილზე, მხრებში ჩაარტყეს სამჯერ, ემუქრებოდნენ – „ბურჭულაძეს ნუ უდგები გვერდით, ახლა ნახავ“. ვახტანგ ფიცხელაურს ხელებსა და ტანზე აღენიშნებოდა ნაკაწრები. მისი ადვოკატის თქმით, ის, ფაქტობრივად, გაიტაცეს. დაკავებისას არ განემარტა უფლებები, არც დაკავების ოქმის ასლი გადასცემია. აღენიშნებოდა თვალსაჩინო დაზიანებები – გადატყავებული ჰქონდა მკლავები, მხრები და იდაყვები.[131]

დავით ჟღენტის თქმით, დაკავებისას და შემდეგაც სცემა გდდ-ს თანამშრომელმა.[132] ადვოკატმა ლაშა ცუცქირიძემ განმარტა, რომ დაკავებისას გდდ-ს თანამშრომლებმა ჟღენტი შეიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში და იქაც, ისევე, როგორც დაკავების პროცესში, ის არაერთი პირის მხრიდან დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.[133] ადვოკატ ომარ ფურცელაძის თქმით, ბრალდებული ჯერ ადმინისტრაციული წესით დააკავეს, შემდეგ კი ბრალი სისხლის სამართლის მუხლით წაუყენეს. ასევე, დავით ჟღენტს დაზიანებები აღენიშნებოდა თვალბუდის, თავის, ყელის, ხელების, ზურგისა და მკერდის არეში.[134]

ამირან დოლიშვილმა აღნიშნა, რომ დაკავებისას სახლში სპეცრაზმელმა დაარტყა.[135]

---

[129] „რადიოთავისუფლება“, „პირველი 13 დაკავებული „4 ოქტომბრის საქმეზე“ - ვინ არიან, რა დააშავეს?“ 09.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-13-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-4-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94/33555590.html [13.11.2025].

[130] „4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებულთა სასამართლო“, „რადიო თავისუფლების“ ფეისბუქ-გვერდი, 08.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/pfbid06Je1yyA4og2cdh2yQAyjxb97rwLzVcgvfUYk769XtyYNVJNRTc4WmmCfBD8LNJ5rl [13.11.2025].

[131] ადვოკატის თქმით, ეს მოხდა ადმინისტრაციული დაკავების დროს.

[132] „რადიო თავისუფლება“, „სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა 4 ოქტომბრის აქციის კიდევ ოთხ მონაწილეს“, 08.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33554610.html.

[133] „ტვ პირველი“, „შეიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში და ფიზიკურად გაუსწორდნენ - დავით ჟღენტის ადვოკატი“, 07.10.2025, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/111765-sheikvanes-prezidentis-sasakhleshi-da-pizikurad-gaustsordnen-davit-jgentis- [13.11.2025].

[134] „რადიოთავისუფლება“, პირველი 13 დაკავებული „4 ოქტომბრის საქმეზე“ - ვინ, არიან, რა დააშავეს?“ 09.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-13-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-4-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94/33555590.html [13.11.2025].

[135] „რადიო თავისუფლება“, „4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებულთა სასამართლო“, 11.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/pfbid02Jw7KYodE7JRCuyA3y6kpBf23w1sKDkUBbUZve7bbAEkKwfCcyQhU4E4znvu5muTcl [13.11.2025].

- **აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება**

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახეებს, ბრალდების მხარეს და სასამართლოს 4 ოქტომბრის საქმეებზეც მკაცრი მიდგომები აქვთ და ბრალდებულებს, უმეტესად, პატიმრობას უფარდებდნენ. მხოლოდ სამი პირის – ია დარახველიძის, მარიამ მეყანწიშვილის და გიორგი ჩახუნაშვილის მიმართ გამოიყენეს გირაო.[136] სამივე შემთხვევაში, თავად პროკურატურამ იშუამდგომლა ე.წ. საპატიმრო გირაო, სასამართლომ კი დააკმაყოფილა.

ერთ-ერთი საყურადღებო გარემოება ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლაა. ამ საფუძვლით ბრალი წარედგინა 7 პირს. ბრალდების მიხედვით, 2025 წლის 4 ოქტომბერს თბილისში, ათონელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ბრალდებულებმა წიწაკის სპრეის შესხმით, ფიზიკური დაბრკოლებების შექმნით და ძალადობის მუქარით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ შეუშალეს ხელი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, ტელეკომპანია „იმედის“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადამღებ ჯგუფებს.

ექვს პირს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ანუ მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია, ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან), ერთ მათგანს კი — სსსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ანუ მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია, ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან, ჩადენილი ძალადობის მუქარით).

ამის საპირისპიროდ, არავისთვის წარუდგენიათ ბრალი 2024-2025 წლის განმავლობაში არაერთი კრიტიკული მედიასაშუალებისთვის საქმიანობაში ხელშეშლის, მათზე თავდასხმისა და ჯანმრთელობის დაზიანების[137] გამო.

4.2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა სისხლის სამართლის საქმეები

პოლიტიკოსების მიმართ დევნის ერთ-ერთ მექანიზმად მმართველმა პარტიამ ე.წ. საგამოძიებო კომისიის საქმეები აქცია. 2025 წლის 5 თებერვალს „ქართული ოცნების“ პარლამენტში შეიქმნა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია“.[138] 1-ელ აპრილს კი პარლამენტმა კომისიის საგამოძიებო ფარგლები, 2012 წლის ნაცვლად, 2025 წლამდე გაზარდა.[139]

კომისიის საქმიანობის მიზანი, განმარტებითი ბარათის მიხედვით, „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეფასება და მათი გადაწყვეტილებების სამართლებრივ ჭრილში მოქცევა იყო“.[140]

ამ კომისიის საქმიანობა პრობლემურია რამდენიმე მიმართულებით, რაც, ფაქტობრივად, მის ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მით უფრო მაშინ, როდესაც მთლიანად საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაციაც საეჭვოა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის რეგლამენტი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატორებს პირდაპირ უდგენს დასაბუთების ვალდებულებას.[141] შესაბამისად, აუცილებელი იყო, მოქმედი საგამოძიებო კომისიის ინიციატორებს სრულად და ამომწურავად დაესაბუთებინათ არა მხოლოდ კომისიის შექმნის მიზანი და საჭიროება, არამედ საქმიანობის მიმდინარეობის პროცესიც. რეა-

---

[136] „რადიო თავისუფლება“, „ექიმი გიორგი ჩახუნაშვილი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს“, 11.10.2025, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33557005.html [13.11.2025].

[137] „რადიო თავისუფლება“, „ჟურნალისტ გურამ როგავას სახის ძვლები და კისრის მალა აქვს მოტეხილი“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33220188.html [13.11.2025].

„ტვ პირველი“, „მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე თავდასხმის გამოუძიებელ საქმეს The Times ვრცელ სტატიას უძღვნის“, 31.12.2025, ხელმისაწვდომია: მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე თავდასხმის გამოუძიებელ საქმეს The Times ვრცელ სტატიას უძღვნის | TV პირველი [13.11.2025].

[138] საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის დადგენილება N 240-IIმს-XIმპ.

[139] საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, „პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ დადგენილებაში ცვლილება განხორციელდა“, 01.04.2025, იხ. https://parliament.ge/media/news/parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-shesakheb-dadgenilebashi-tsvlileba-gankhortsielda?fbclid=IwY2xjawJ_6JZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFicjIIZFhUT05yUkU-1VkZ2AR7JvVh5z2AXaU_61zwGSGFLpWnxWwbR0ippb4KAQfgQ--HgCjDfe2hjxc3t3g_aem_6-3FfzsSoTTHIVng2V4PLg [14.11.2025].

[140] განმარტებითი ბარათი „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

[141] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ლურად, განმარტებითი ბარათი არ იძლეოდა სრულ ინფორმაციას იმის თაობაზე, კონკრეტულად რა საკითხები უნდა გამოძიებულიყო და რატომ, ასევე, ვინ იქნებოდნენ გამოკითხულნი და რა დოკუმენტაციას გამოიძიებდნენ სხდომებზე. განმარტებითი ბარათი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით 2003-2012 წლების რეჟიმის შესახებ და ბუნდოვნად ხსნიდა საგამოძიებო საკითხების რელევანტურობას. ამასთანავე, მასში საუბარია „რადიკალური ოპოზიციისგან" მომდინარე საფრთხეებზე, რომ „ისინი გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნი[დნენ] საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას".[142]

თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციით, უცნობია, რა მყისიერი საფრთხე არსებობდა ამ პირებთან დაკავშირებით, მათ მიმართ სისხლის სამართლის მიმართულებით წარმოების დასაწყებად.

მართალია, საგამოძიებო კომისია, როგორც პარლამენტის დროებითი ორგანო, თავისთავად, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და მას არ აქვს ისეთი მაღალი სამართლებრივი მტკიცების სტანდარტი, როგორიც ორდინალურ საგამოძიებო უწყებებს, თუმცა მას, როგორც ხალხისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სახელმწიფო ორგანოს, აქვს დასაბუთების სტანდარტი, მინიმუმ იქიდან გამომდინარე, რომ მისი დასკვნა, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს კონკრეტულ პირთა თუ პარტიათა სამართლებრივ პასუხისმგებლობას. დასაბუთების აუცილებლობა ერთ-ერთი პროცედურული ეტაპია კომისიის შექმნის პროცესში.[143]

სწორედ კომისიის შექმნის საჭიროების დასაბუთების სიმწირიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მისი საქმიანობის მიზანი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რეალური გამოძიება კი არა, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების აკრძალვისთვის შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლის შექმნა იყო, რაზეც „ქართული ოცნების" ლიდერები ღიად საუბრობდნენ.[144] თუმცა, საგამოძიებო კომისიის საქმიანობა, თავისთავად, მიმართული ვერ იქნება კონკრეტული პოლიტიკური პარტი(ებ)ის წინააღმდეგ ან მათი აკრძალვისკენ.[145]

გარდა დასაბუთების ნაკლებობისა, პრობლემური იყო კომისიის შემადგენლობაც. კონსტიტუციის მიხედვით, საგამოძიებო ან სხვა სახის დროებით კომისიებში ოპოზიციის შემადგენლობა არ უნდა იყოს ნახევარზე ნაკლები,[146] რაც არა მხოლოდ კვოტების შესაბამისად გადანაწილებას, არამედ კომისიის ფაქტობრივ საქმიანობაში საპარლამენტო უმცირესობების ფაქტობრივ ჩართვას გულისხმობს. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომებში ოპოზიციის მონაწილეობა უზრუნველყოფს კომისიის გამჭვირვალობას, დაბალანსებულობასა და ობიექტურობას. ამ კომისიის შემადგენლობაში კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობა და მისგან გამოყოფილი ე.წ. „ოპოზიციური" ჯგუფები, რომლებიც „ქართული ოცნების" საარჩევნო სიით მოხვდნენ პარლამენტში.[147] შესაბამისად, კომისიაში მათი არსებობა ვერ იქნება აღქმული ოპოზიციის რეალურ მონაწილეობად და ეს, ძირითადად, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ზოგადად, დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მას წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას. ეს უფლებამოსილება, ობიექტურ რეალობაში, უზრუნველყოფს კომისიის საგამოძიებო ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. სხვაგვარად იგი ვერ შეძლებდა საკითხის სრულად შესწავლასა და ობიექტური დასკვნის შემუშავებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საგამოძიებო კომისიის საქმიანობის დროს წამოიჭრა, დაბარების შემთხვევაში კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობა იყო. ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და არ ჩააბარეს ახსნა-გან-

---

[142] იქვე.

[143] საკითხზე უფრო დეტალურად იხ. საია, „ქართული ოცნების" პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა. 21.05.2025, https://shorturl.at/lqtaL [14.11.2025].

[144] Civil.ge, „ქართული ოცნების" მიერ ინიციირებული კანონპროექტი ნაციონალური მოძრაობის „მემკვიდრე პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას" ითვალისწინებს", 28.03.2025, იხ. https://civil.ge/ka/archives/672285 [14.11.2025].

[145] von Münch/Kunig/Groh, 7. Aufl. 2021, GG Art. 44, Rn. 22-28.

[146] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[147] კომისიის წევრები არიან: ფრაქცია „ქართული ოცნებიდან" (5 წევრი): თეა წულუკიანი (თავმჯდომარე), ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ალუდა ღუდუშაური, პაატა სალია (შემდგომ ირაკლი ქადაგიშვილი); პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალიდან" (2 წევრი): სოზარ სუბარი (მდივანი), გურამ მაჭარაშვილი; პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები" (1 წევრი): ილია ინჯია. ასევე, კვოტებით განსაზღვრულია 2 წევრი უფრაქციო დეპუტატებიდან (პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის", რომელმაც პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა). იხ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში" წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ".

მარტებები. ამის საპასუხოდ, კომისიამ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა შესაბამისი პირების შესახებ ინფორმაცია გამოუცხადებლობის თაობაზე.[148]

საია მიიჩნევს, რომ კომისიაზე გამოუცხადებლობა ვერ შეფასდება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის სანქცია გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ისე სისხლის სამართლის კოდექსში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[3]-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით“. ანალოგიურ შინაარსს მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლიც, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით, ასევე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე ვადით. ეს მიუთითებს, რომ ერთი და იგივე ქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც სამართალდარღვევად, ისე დანაშაულად.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი არ განსაზღვრავს, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებში იდენტური ჩანაწერების არსებობის შემთხვევაში რომელს ენიჭება უპირატესობა, მნიშვნელოვანია, საკითხი შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და, დარღვევის შემთხვევაში, გამოყენებული იყოს ის ნორმა, რომელიც ნაკლებად ზღუდავს პირის თავისუფლებას *(In dubio pro libertate).*

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომლისთვისაც სასჯელის მაქსიმალურ ზომად გათვალისწინებულია ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. ქმედების შემადგენლობა და მისი ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელიც მიუთითებს, რომ ის არ მიეკუთვნება საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებათა კატეგორიას, რომელიც პრიორიტეტულს გახდიდა მსჯელობას მისი ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გავრცელების საჭიროებაზე. ასეთ შემთხვევებში, პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იხელმძღვანელოს მინიმალური ჩარევის სტანდარტით, პროპორციულობისა და სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპებით.

პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გამოიყენება, უნდა იყოს სამართლიანი, საჭირო, სათანადოდ დასაბუთებული და არ უნდა აღემატებოდეს მიზნის მისაღწევად აუცილებელ ზომებს. სამართლებრივი განჭვრეტადობა კი სამართალში ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს მიეკუთვნება , რომელიც გულისხმობს, რომ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს თავისი ქმედების შედეგები. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი ადამიანების უსაფრთხოების გარანტიაა. მოცემულ შემთხვევაში კი, მათთვის არ არის განჭვრეტადი, რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

ზემოთ ხსენებულის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც უგულებელყვეს არა მხოლოდ იდენტური შინაარსის მუხლის არსებობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, არამედ, ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები.

პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი – მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის — ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ ამ უკანასკნელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა.[149] საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ზემოთ ხსენებული მუხლით ბრალი არაერთ პირს წარედგინა.[150] ამ სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი პრობლემის სათავე, ასევე, კომისიის ლეგიტიმურობა და კანონიერი მოთხოვნის არარსებობაა. მაგრამ, იმ

[148] სულ 8 პირი: ბადრი ჯაფარიძე, მამუკა ხაზარაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკა გვარამია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე, ნიკანორ მელია, გიორგი (გივი) თარგამაძე.

[149] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №181 სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ.

[150] საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა მამუკა ხაზარაძეს, ირაკლი ოქრუაშვილს, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, გიორგი (გივი) თარგამაძეს, ნიკა გვარამიას, გიორგი ვაშაძეს, ნიკანორ მელიასა და ბადრი ჯაფარიძეს. ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

შემთხვევაშიც კი, თუკი ჩავთვლით, რომ დაკმაყოფილებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, მაინც მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ საჯარო ინტერესზე, რა დროსაც პროკურორმა უნდა განსაზღვროს, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული დანაშაულისთვის, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პროკურატურა, თვეებია, უგულებელყოფს რეალურ საჯარო ინტერესს და არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას იმ პირთა მიმართ, რომლებიც წამების ორგანიზებულ დანაშაულებში მონაწილეობდნენ.

გარდა ამისა, პროკურატურამ ახალი ბრალი წარუდგინა რვა პოლიტიკოსს.[151] გენერალური პროკურორის განცხადებით,[152] საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოძიების შედეგად, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, კონკრეტულად კი, საბოტაჟის, უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიმართ.

პატიმრობაშია პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილიც. პროკურატურის ვერსიით, იგი საჯარო სივრცეში – სატელევიზიო ეთერებსა და სოციალურ ქსელებში – სისტემატურად ავრცელებდა მოწოდებებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს ჰპირდებოდა ქრთამის სახით 200 000 აშშ დოლარის გადაცემას იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყოდნენ წვრთნასა და ვარჯიშზე, მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე და არ გამოიყენებდნენ მათ ხელთ არსებულ კანონით ნებადართულ სპეციალურ საშუალებებს. გარდა ამისა, ლევან ხაბეიშვილი ქრთამის სახით ამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გადახდას საჯაროდ ჰპირდებოდა პოლიციის იმ თანამშრომლებსაც, რომლებიც მას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საიდუმლო მასალებს მიაწვდიდნენ.

ლევან ხაბეიშვილს გამოძიება უკანონო ქმედების განხორციელების სანაცვლოდ ქრთამის დაპირებას და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებას ედავება.[153]

2025 წლის 12 ნოემბერს გიორგი გახარიას ბრალი წარუდგინეს 2019 წლის 20-21 ივნისს ორზე მეტი პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებისა და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე.[154] გახარიას სამსახურებრივი უფლებამოსილების განზრახ გადამეტებას ედავებიან ე.წ. ჩორჩანას ეპიზოდზეც. პროკურატურის მტკიცებით, მისმა ქმედებამ საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.[155]

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, წლებია, 20-21 ივნისის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. საინტერესოა, მომხდარიდან 6 წლის თავზე რა ახალი გარემოება გამოავლინა საგამოძიებო ორგანომ, რომელიც საფუძვლად დაედო გიორგი გახარიას ბრალდებას, ან მანამდე რატომ ვერ მოხდა ამგვარი მტკიცებულებების აღმოჩენა. ეს საქმე საყურადღებოა არა მხოლოდ გახარიას ბრალეულობის ნაწილში, არამედ მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის თვალსაზრისითაც.

---

[151] მიხეილ სააკაშვილს ბრალდება წარედგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით - საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების ფაქტზე. ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს და გიორგი ვაშაძეს ბრალდება წარედგინებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით და 319-ე მუხლით - საბოტაჟის და უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე. ელენე ხოშტარიას ბრალდება წარედგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით, 319-ე მუხლით და 321-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით - საბოტაჟის, აღნიშნული დანაშაულისთვის მატერიალური რესურსების მიწოდების და უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე. ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალდება წარედგინებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით - საბოტაჟის ფაქტზე.

[152] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 06.11.2025, იხ. pog.gov.ge- სიახლეები [14.11.2025].

[153] „პროკურატურამ უკანონო ქმედების განხორციელების სანაცვლოდ ქრთამის დაპირების, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა“, საქართველოს პროკურატურა, 13.09.2025, იხ. pog.gov.ge- სიახლეები [14.11.2025].

[154] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 12.11.2025, იხ. განცხადება [18.11.2025].

[155] საქართველოს პროკურატურის განცხადება, 12.11.2025, იხ. განცხადება [18.11.2025].

ე.წ. ჩორჩანას ეპიზოდთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადება ტრაგიკომიკურ ელფერს სძენს საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას. წარმოუდგენელია, ქვეყანაში შინაგან საქმეთა მინისტრი სჩადიოდეს ბრალის ფორმულირებაში აღწერილი სიმძიმის ქმედებას და ამაზე საგამოძიებო ორგანოს რეაგირებისთვის 6 წელი დასჭირდეს. ცხადია, ცალკე საყურადღებო და შესაფასებელი საკითხია დანაშაულის შემადგენლობა და ის ფაქტი, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დამატებითი საპოლიციო საგუშაგოს გახსნის შესახებ გადაწყვეტილება რატომ არღვევს საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს.

ოპოზიციური პარტიების ლიდერების მიმართ სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ინტენსიური გამოყენების არსებული პრაქტიკა სცდება მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესებს და ატარებს პოლიტიკური დევნის ელფერს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტები დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების დარღვევასთან, გარემოსა და ინფრასტრუქტურისგან მომდინარე საფრთხეებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან, პრევენციული ზომების არარსებობასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანების სიცოცხლე.[156] ეს გულისხმობს როგორც არსებით, ისე პროცედურულ ასპექტებს[157] სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი ზომების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს ოპერატიული პრევენციული ღონისძიებები,[158] რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების უფლებას ინფორმაციის მიღების თაობაზე.[159] სიცოცხლის უფლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები, მათ შორის, სახელმწიფოებისგან მოითხოვს რეგულაციების დაწესებას საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანების უსაფრთხოების დასაცავად და ამ მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.[160] როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არ იკვეთება სიცოცხლის უფლების დარღვევის განზრახი ქმედებები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად გამოიყენება შემდეგი ტესტი: მიიღო თუ არა მან ყველა ზომა, რაც შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა ადამიანის სიცოცხლის რისკი,[161] ასევე, იცოდა თუ არა ხელისუფლებამ, ან უნდა სცოდნოდა თუ არა, სასიკვდილო საფრთხის შესახებ.[162]

25 იანვარს თბილისში, რიყის პარკში, „რიყის დოქების" მიმდებარე ტერიტორიაზე, 16 წლის მოზარდი თხრილში ჩავარდა და გარდაიცვალა.[163] ამ შემთხვევას თბილისის მერია გამოეხმაურა და ხაზი გაუსვა, რომ შემთხვევა კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოხდა.[164] მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტული ტერიტორია კერძო საკუთრებაა, სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, მიიღოს ზომები ამ საფრთხეების გასანეიტრალებლად, მით უფრო საჯარო სივრცეში, ვინაიდან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის, ბავშვები, შესაძლოა, განსაკუთრებით მოწყვლადები აღმოჩნდნენ ამ საფრთხეების მიმართ.[165]

მოქალაქეების თქმით, ეს ტერიტორია არის ღია სივრცე, სადაც არ ყოფილა არანაირი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ გადაადგილება სახიფათოა. ტერიტორია ყვითელი და წითელი ლენტებით მხოლოდ ხსენებული ტრაგედიის შემდეგ შემოისაზღვრა.[166] მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამ თხრილში ადამიანი ჩავარდა.[167] ეს მიუთითებს, რომ სახელმწიფოსთვის, სავარაუდოდ, ცნობილი უნდა ყოფილიყო არსებული საფრთხის შესახებ, შესაბამისად, ჰქონდა შესაძლებლობა და ვალდებულება, მიეღო სათანადო ზომები ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.

საჯარო წყაროებიდან ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანის) მუხლით[168] დაიწყო, თუმცა საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია გამოძიების შედეგები და ის, თუ რა რეაგირება მოჰყვა ამ ფაქტს.

---

[156] Cevrioglu v. Turkey, 69546/12, European Court of Human Rights, 2016, §50.
[157] Öneryıldız, v. Turkey [GC], 48939/99, European Court of Human Rights, 2004, § 89-118.
[158] იქვე, §101.
[159] იქვე, §89.
[160] Ciechońska v. Poland, 19776/04, European Court of Human Rights, 2011, §69.
[161] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, 30, იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [14.11.2025].
[162] იქვე.
[163] „რადიო თავისუფლება", „ხელები გაგვეშვა და ჩაგვივარდა" - ვინ არის „რიყის დოქებთან" მოზარდის დაღუპვაზე პასუხისმგებელი?", 30.01.2025, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%91%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/33297459.html [14.11.2025].
[164] თბილისის მერიის განცხადება, 29.01.2025, იხ. https://www.facebook.com/share/p/17AAAHYPSQ/ [14.11.2025].
[165] CEVRİOĞLU v. TURKEY, 69546/12, European Court of Human Rights, §67.
[166] „ტვ პირველი", „ტრაგედია თბილისში - რიყის პარკში VIII კლასის მოსწავლე ღია თხრილში ჩავარდა და გარდაიცვალა", 29.01.2025, იხ. https://www.youtube.com/watch?v=XKWFOilgvVI [14.11.2025].
[167] იქვე.
[168] „რადიო თავისუფლება", „რიყის დოქების" ტერიტორიაზე 16 წლის ბიჭი დაიღუპა", 29.01.2025, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33295247.html [14.11.2025].

15 თებერვალს ბათუმში, ე.წ. „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე (ფრ. ხალვაშის გამზირის N188-ის მიმდებარედ), ორი მცირეწლოვანი ბავშვი წყლით სავსე თხრილში ჩავარდნის შედეგად გარდაიცვალა.[169] ადგილობრივების[170] თქმით, ტერიტორია არ იყო შემოსაზღვრული, ასევე, არ ყოფილა რაიმე გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გასაგებად მიაწოდებდა ინფორმაციას როგორც სრულწლოვანს, ისე ბავშვს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევამდე 1 კვირით ადრე, 8 თებერვალს, ამ ტერიტორიაზე არსებობდა გარკვეული ღობე, თუმცა, მხოლოდ ერთი დღით, ახალი კორპუსების მშენებლობის დაწყების ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელშიც „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ.[171] ღონისძიების დასრულების მეორე დღეს, 9 თებერვალს, ეს ღობე უკვე დაშლილი იყო. ტრაგედიის შემდეგ აქ მხოლოდ თხრილი შემოღობეს.[172] აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ ე.წ. „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევის ადგილზე განაცხადა, რომ ჯერ მხოლოდ წინასამშენებლო, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, რის გამოც, ტერიტორია არ იყო შემოსაზღვრული. მისივე თქმით, „შესაბამისი ღობე“ ტერიტორიაზე მაშინ გაჩნდებოდა, როდესაც სამშენებლო სამუშაოები დაიწყებოდა.[173]

საია დაინტერესდა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „ანაგთან“ გაფორმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტით, რომლის განმარტებით ბარათში მითითებულია შემდეგი: „მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად - მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები; მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით: 1. ტერიტორიაზე შესასვლელი შესაბამისი გამაფრთხილებელი ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ღობის და ჯიხურების მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება“[174] და სხვა.

ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, იგი შემთხვევამდე აპროტესტებდა და მიუთითებდა იმ საფრთხეებზე, რომლებიც, შესაძლებელი იყო, ამოთხრილ ორმოებს გამოეწვია, თუმცა, რეაგირების ნაცვლად, ეს პირონვნება დააჯარიმეს.[175] შესაბამისად, სავარაუდოდ, სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და შესაბამისი პრევენციული ზომები უნდა მიეღო.

„ბათუმელების“ ინფორმაციით,[176] შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით – სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.[177]

2025 წლის 14 ივლისს სადგურის მოედანზე, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის ჩამონგრევის შედეგად, ორი ადამიანი გარდაიცვალა, კიდევ ერთი პირი კი დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.[178] ამ შენობიდან მომდინარე საფრთხეებზე ინფორმაცია საჯაროდ ადრეც ვრცელდებოდა. 2024 წლის 30 მარტს მოქალაქემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო შენობის მდგომარეობის შესახებ. ასევე, შენობის ბზარების კადრები გადაღებულია 2022 წლის ოქტომბერშიც. ვიდეოში მოქალაქე ამბობს, რომ არაერთხელ უშედეგოდ მიმართა მერიას.[179]

---

[169] „ბათუმელები“, „ოცნების ქალაქში“ ორი ბავშვის დაღუპვაზე გამოძიება დაიწყო“, 16.02.2025, იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/news/562541/?fbclid=IwY2xjawIekX1leHRuA2FlbQIxMAABHfjbaLIpN-OHypZAJjGyir3CgpTpvzjnAfXRhvKnAqiC1snoutRV58x1PA_aem_97VzASb-vQPubdF7561NGKg [14.11.2025]; ბათუმის მერიის განცხადება, 15.02.2025, იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=975345798049541&set=a.249247530659375 [14.11.2025].

[170] „მაუწყებელი“, „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე ორი ბავშვი თხრილში ჩავარდა და დაიღუპა“, 16.02.2025, იხ. https://www.facebook.com/mautskebeli.ge/videos/425841007223352/?rdid=a2ypSyGU6imlGrTx# [14.11.2025].

[171] „ბათუმელები“, „უსაფრთხოების ღობე „ოცნების ქალაქში“ კობახიძის დასაცავად მხოლოდ ერთი დღით იყო“, 17.02.2025, იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/news/562660/ [14.11.2025].

[172] იქვე.

[173] „ტაბულა“, „ეს არ იყო სამშენებლო ტერიტორია”- აჭარის ეკონომიკის მინისტრი „ოცნების ქალაქში» მომხდარზე, 16.02.2025, იხ. https://tabula.ge/ge/news/730284-es-ar-iqo-samsheneblo-teritoria-acharis [14.11.2025].

[174] ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი NAT240025327, „მშენებლობის ორგანიზების პროექტი“, სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები, 3, 2022.

[175] „ფორმულა“, „ბათუმში, ე.წ ოცნების ქალაქში უბედური შემთხვევის შედეგად 3 და 6 წლის ბავშვები დაიღუპნენ“, 16.02.2025, იხ. https://www.youtube.com/watch?v=LsGQPuzhY80 [14.11.2025].

[176] „ბათუმელები“, „ოცნების ქალაქში“ 2 ბავშვი წყლით სავსე თხრილში ჩავარდა და დაიღუპა“, 15.02.2025, იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/news/562534/?fbclid=IwY2xjawIekwxleHRuA2FlbQIxMQABHeVOjRriZ3vYHf-zlLjg61rzIXN3TH7Y1m4eHAAwEiwLtrr7wS682SI-aMw_aem_NjYx-di_7HGpHK3wd4H14w [14.11.2025].

[177] ისჯება შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

[178] „რადიო თავისუფლება“, „სადგურის მოედანთან” შენობის ჩამონგრევის ადგილზე სამძებრო სამუშაოები დასრულდა“, 15.07.2025, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33474080.html [14.11.2025].

[179] „რადიო თავისუფლება“, მსხვერპლი მოჰყვა ნგრევას სადგურის მოედანთან, 15.07.2025, იხ. https://www.youtube.com/shorts/j6_MwosYYn0 [14.11.2025].

საიამ თბილისის მერიიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს პროკურატურიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:[180] რომელი უწყება/სამსახურია უშუალოდ პასუხისმგებელი ავარიული შენობების შემთხვევების პრევენციასა და კონტროლზე, რა ტიპის დოკუმენტით/ნორმატიული აქტით ხელმძღვანელობს იგი, რა სახის პრევენციული ღონისძიებები განახორციელა თბილისის მერიამ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად და მომხდარის შემდეგ შეფასდა თუ არა ამ შემთხვევის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზიანი, გაიცა თუ არა დაზარალებულ პირებზე რაიმე სახის კომპენსაცია, შემთხვევამდე რამდენი ხნით ადრე მოხდა სადგურის მოედანზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მონიტორინგი, რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, დაინიშნა და ჩატარდა თუ არა შესაბამისი ექსპერტიზები, გამოძიების ფარგლებში, გამოიკვეთა თუ არა პასუხისმგებელი პირი/პირები, პროკურატურის რომელი ორგანოს აქვს დაკისრებული გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, ამ გამოძიების ფარგლებში წარედგინა თუ არა ვინმეს ბრალი, მოხდა თუ არა ვინმეს დაზარალებულად ცნობა, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლებში პროკურორმა რა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სავალდებულო მითითებები გასცა და სხვა. ამ განცხადებებზე თბილისის მერიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება არ ჰქონიათ, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურა ვადაგადაცილებით დაბრუნებულ პასუხში[181] შემოიფარგლა მხოლოდ შემდეგი ინფორმაციით, რომ გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოში, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გამოძიების საპროცესო ზედამხედველობას ახორციელებს თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველო. ასევე, პასუხის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ეს ფაქტები, ერთი მხრივ, მიუთითებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების უგულებელყოფაზე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების შეუსრულებლობაზე, ასევე, გამოძიების კონტექსტში სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების არაპრიორიტეტულობაზე.

[180] საიას 2025 წლის 30 სექტემბრის წერილები თბილისის მერიიდან (წერილის ნომერი: გ-04/55-25), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან (წერილის ნომერი გ-04/56-25) და საქართველოს პროკურატურიდან (წერილის ნომერი გ-04/57-25) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

[181] საქართველოს პროკურატურის 2025 წლის 28 ოქტომბრის წერილი №13/77048.

2025 წელს მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების დარღვევა. 2024 წლის ბოლოს მომხდარი სისტემური და მასობრივი წამების ფაქტების გამოუძიებლობასთან ერთად, სახელმწიფო, გარკვეულ შემთხვევებში, განაგრძობდა არასათანადო მოპყრობას პროტესტში ჩართული ადამიანების მიმართ.

6.1. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა

2025 წლის 2 თებერვალს „თბილისი მოლის" მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ სახელმწიფომ კვლავ საპოლიციო ძალადობას და არასათანადო მოპყრობას მიმართა. აქციის დაშლისას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ვიდეოკამერების წინ ფიზიკურად იძალადა ერთ-ერთ დაკავებულზე.[182] აქციაზე დაკავებული 25 პირიდან, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულებმა მოინახულეს, 22 მათგანი არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.[183] ხაზგასასმელია, რომ 2 თებერვლის აქციაზე პოლიცია განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ქალების მიმართ. პოლიციელები მათ ხელს ჭკრავდნენ, ურტყამდნენ, აგრესიულად იყენებდნენ სექსისტურ და მიზოგინიურ ენას.[184]

2025 წელს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები მიუთითებდნენ, რომ დაკავების შემდგომ მათ იძულებით სრულად აშიშვლებდნენ პირადი ჩხრეკის/დათვალიერების (შემოწმების) საბაბით.[185] ჩხრეკის პროცესში ადამიანების სრულად გაშიშვლების ღირსების შემლახავი პრაქტიკა არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არღვევს CPT-ის სტანდარტებს[186] და მისი ამოცანაა დაკავებულების ჩაყენება მოწყვლად, ღირსების შემლახავ, დამამცირებელ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს მიმდინარე პროტესტის კონტექსტში დაკავებულ პირთა ნაწილი ასევე მიუთითებდა არასათანადო მოპყრობაზე (იხილეთ 4.1. ქვეთავი).

6.2. აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის არაეფექტიანი გამოძიება

საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირები 2025 წელს კვლავ დაუსჯელები რჩებიან. ამ დანაშაულთა გამოძიება არაეფექტიანია, რაც დამნაშავეთა გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემისთვის პოლიტიკური ნების არარსებობით არის გამოწვეული.

---

[182] „ნეტგაზეთის" ფეისბუქ-გვერდი, „ზვიად ხარაზიშვილი (ხარება) დაკავების მომენტში მოქალაქეს წიხლს ურტყამს", 02.02.2025; იხ. https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=1021389913360020&external_log_id=4437867b-5a1f-49da-a54c-4bcbf2f631da&q=%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1 [14.11.2025]. „რადიო თავისუფლება", „2000 ლარით დააჯარიმეს კაცი, რომელიც ჰყვება, როგორ ჩაარტყა „ხარებამ" წიხლი", 04.02.2025, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33303099.html [14.11.2025].

[183] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2025, გვ. 89; იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2025040114382036221.pdf [14.11.2025].

[184] „რადიო თავისუფლება", „ტინდერის ასლარიანო ბოზებო"- პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე", 07.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html?fbclid=IwY2xjawIW4PlleHRuA2FlbQIxMQABHaA-B2VKg-Pas7ms-rghY-KfEPe1TTgHwPEt3d_ofb0t5ye_-y39Q4xZ6aQ_aem_WSlKm3SVkRhCCXegsTzb-A [24.10.2025]; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „პოლიციაში გაზრდილია მიზოგინიური და სექსისტური კულტურა და ენა", 11.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/politsiashi-gazrdilia-mizoginiuri-da-seksisturi-kultura-da-ena [14.11.2025].

[185] Amnesty International, FROM INSULTS TO ASSAULTS: WEAPONIZING GENDER-BASED VIOLENCE AGAINST WOMEN PROTESTORS IN GEORGIA, 2025, იხ. https://eurasia.amnesty.org/wp-content/uploads/2025/05/from-insults-to-assaults-police-violence-towards-women-protesters-in-georgia.pdf [14.11.2025]; საია ეხმიანება დაკავებულთა გაშიშვლების დაუშვებელ პრაქტიკას, 29.03.2025, იხ. https://www.gyla.ge/post/saia-exmianeba-dakavebulta-gashishvleblis-dausjvebel%20praqtikas [14.11.2025]; საია ეხმიანება პირველ ოქტომბერს გელა ხასაიას საქმეზე განვითარებულ მოვლენებს, https://gyla.ge/post/gela-khasaias-saqme-GYLA [30.10.2025].

[186] ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT)-ს თანახმად, გაშიშვლებით პირადი ჩხრეკა დაუშვებელია ავტომატური ან განუსაზღვრელი პრაქტიკის სახით. ასეთი ჩხრეკა უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური რისკის შეფასებას, დაექვემდებაროს მკაცრ ზედამხედველობასა და წინასწარ დადგენილ სტანდარტებს. როდესაც არსებობს პირადი ჩხრეკის გაშიშვლების ფორმით ჩატარების აუცილებლობა, დაკავებულს არ უნდა მოეთხოვოს ერთდროულად ყველა ტანსაცმლის გახდა და უნდა მიეცეს საშუალება, ჯერ ტანის ზემოთ გაიხადოს, ჩაიცვას და ამის შემდეგ გაიხადოს დარჩენილი ტანსაცმელი. იხილეთ CPT/Inf (2025) 11, https://rm.coe.int/1680b4e6af [14.11.2025]; იხილეთ ასევე: „საია ეხმიანება დაკავებულთა გაშიშვლების დაუშვებელ პრაქტიკას", 29.03.2025, https://www.gyla.ge/post/saia-exmianeba-dakavebulta-gashishvleblis-dausjvebel%20praqtikas [14.11.2025].

2024 წლის 20 დეკემბერს ეუთოს 38-მა წევრმა სახელმწიფომ ნოემბერ-დეკემბერში საქართველოში ადამიანის უფლებების საგანგაშო დარღვევებთან დაკავშირებით ვენის მექანიზმი აამოქმედა.[187] ვენის მექანიზმი ეუთოს ინსტრუმენტია, რომელიც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, სხვა წევრ სახელმწიფოს დაუსვან შეკითხვები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე.[188] საქართველოსთვის დასმული შეკითხვები შეეხება აქციებთან დაკავშირებული უფლებების დარღვევების გამოძიების ეფექტიანობას და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გადადგმულ ნაბიჯებს.[189] 2025 წელს საიამ ვენის მექანიზმს ალტერნატიული ანგარიში სამჯერ წარუდგინა.[190] ანგარიშებში ყურადღება გამახვილებული იყო გამოძიების გამოწვევებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2019 წლის 20 ივნისის საქმეში დადგენილი სტანდარტებით, ასევე, გამოძიების ქვემოთ განხილულ დეფექტებსა და მსგავსი დანაშაულების გამოძიებასთან მიმართებით საკანონმდებლო სივრცის გაუარესებაზე.

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე 2025 წლის 1-ელ ივლისამდე პასუხისმგებელი იყო სპეციალური საგამოძიებო სამსახური. სწორედ ეს უწყება იძიებდა პოლიციელების მხრიდან აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე ძალადობას, თუმცა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ვერ/არ გამოავლინა არცერთი მოძალადე სამართალდამცველი.[191]

2025 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტირების ანგარიშში, რომელიც ქართული სამოქალაქო საზოგადოების 11-მა ორგანიზაციამ მოამზადა, აღწერილია არაერთი პრობლემა, რომლებიც 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში დემონსტრანტების წინააღმდეგ მიმართული საპოლიციო ძალადობის გამოძიების არაეფექტიანობას ადასტურებს. მათ შორისაა: ასობით დანაშაულის ერთ საქმეში გაერთიანება,[192] დანაშაულთა არასწორი და არასრული სამართლებრივი კვალიფიკაცია,[193] სამხრე კამერებისა და პოლიციის შენობებიდან ვიდეოჩანაწერების მოპოვების პრობლემა,[194] საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების ან განადგურების შესაძლო ფაქტებზე უმოქმედობა,[195] ცალკეულ სიტუაციებში, შემთხვევის ადგილის დაუთვალიერებლობა,[196] საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაგვიანებით ამოღება,[197] დანაშაულის ნიშნების შემცველი საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების არდაწყება მსხვერპლის უშუალო მიმართვის გარეშე.[198] გამოძიების არაეფექტიანობას ადასტურებს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშიც.[199]

საჯაროდ ხელმისაწვდომი ფოტო და ვიდეო მასალით, ასევე აქციებში მონაწილე პირების ინტერვიუებით და სახელმწიფო უწყებების ანგარიშებით დასტურდება, რომ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ასევე 2 თებერვალს აქციის დარბევაში მონაწილე შენიღბული პოლიციელების უნიფორმებზე არ იყო დატანილი საიდენტიფიკაციო ნიშნები, რაც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის დარღვევაა.[200] ამ გარემოებას სპეციალური საგამოძიებო სამსახური იყენებდა, როგორც მოძალადეთა იდენტიფიკაციის შეუძლებლობის არგუმენტს.[201] სინამდვილეში, ამომცნობი ნიშნე-

[187] U.S. Mission OSCE, Invocation of the Vienna (Human Dimension) Mechanism on the Situation in Georgia, 20.12.2024, იხ. https://osce.usmission.gov/invocation-of-the-vienna-human-dimension-mechanism-on-the-situation-in-georgia/ [14.11.2025].
[188] OSCE, Vienna Mechanism, იხ. https://www.osce.org/odihr/20064 [14.11.2025].
[189] U.S. Mission OSCE, Invocation of the Vienna (Human Dimension) Mechanism on the Situation in Georgia, 20.12.2024, იხ. https://osce.usmission.gov/invocation-of-the-vienna-human-dimension-mechanism-on-the-situation-in-georgia/ [14.11.2025].
[190] Information from Civil Society Organization Submitted to the OSCE Vienna (Human Dimension) Mechanism Prepared by Georgian Young Lawyers' Association (GYLA) January 21, 2025, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/Alternative%20Information%20from%20GYLA%20to%20Vienna%20Mechanism.pdf [14.11.2025]; Follow up on Civil Society Organization Submission to the OSCE Vienna (Human Dimension) Mechanism Prepared by Georgian Young Lawyers' Association (GYLA), Institute for Development of Freedom of Information (IDFI) and Rights Georgia, April, 2025, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/Alternative%20Information%20from%20GYLA%20to%20Vienna%20Mechanism.pdf [14.11.2025].
[191] საია, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმება ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება" წამებისა და საპოლიციო ძალადობის გამოძიებას ფორმალურადაც კი არ აპირებს", 23.05.2025; იხ. https://gyla.ge/post/specialuri-sagamodziebos-gauqmeba [14.11.2025].
[192] საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი- 2025 წლის 28 თებერვალი, 2025, გვ. 137.
[193] იქვე, 137-138.
[194] იქვე, 138-139.
[195] იქვე, 140.
[196] იქვე, 141.
[197] იქვე, 141.
[198] იქვე, 141.
[199] იქვე, გვ 79. იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [14.11.2025].
[200] იქვე, იხ. https://gyla.ge/post/chapkhutis-danomrva-17ivlisis-sasamartlo [14.11.2025].
[201] „ტვ პირველი", „300-მდე ნაცემი და ნაწამები ადამიანი და არცერთი დასჯილი ჯალათი- კარლო კაციტაძე „შაბათის ეთერის» პირისპირ", 21.12.2024; იხ. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/89868-300-mde-natsemi-da-natsamebi-adamiani-da-artserti-dasjili-jala-

ბის არარსებობა არ შეიძლება იყოს დაუსჯელობის გამართლების საფუძველი. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს უნდა გამოეყენებინა ალტერნატიული საგამოძიებო მოქმედებები დამნაშავეთა ვინაობის დასადგენად, რაზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 20 ივნისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაშიც „ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" (Tsaava and Others v. Georgia)[202] მიუთითა.[203]

ეფექტიანი გამოძიების გარეშე რჩება 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში პოლიციის მიერ დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური გამაღიზიანებლების გამოყენება. გავრცელებული ინფორმაციით, ქიმიურმა საშუალებებმა დაზარალებულთა ნაწილს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. ცალკეულ შემთხვევებში, მათ ინტენსიური მკურნალობის ჩატარება დასჭირდათ მომდევნო თვეების განმავლობაშიც, ხოლო ქიმიური საშუალებების ზემოქმედებით გამოწვეულმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ არსებითად იმოქმედა მათი ყოველდღიური ცხოვრების დონესა და პროფესიული საქმიანობის შესრულების შესაძლებლობაზე.[204] გარდა ამისა, საპოლიციო ძალები წყლის ჭავლში ურევდნენ უცნობ ქიმიურ გამაღიზიანებლებს.[205] აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვარში ჯანდაცვის სამინისტროდან გამოგზავნილი წერილის მიხედვით, არც მათ ჰქონდათ ინფორმაცია გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების შემადგენლობის შესახებ. წერილში ასევე მითითებულია, რომ ეს ინფორმაცია მათ შინაგან საქმეთა სამინისტროდან არ გამოუთხოვიათ „საჭიროების არარსებობის გამო".[206]

2025 წლის 1-ელ დეკემბერს BBC-მ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის მიხედვითაც, 2024 წლის საპროტესტო აქციების დასარბევად სახელმწიფომ, სავარაუდოდ, წყლის ჭავლში შერეული ბრომობენზილ ციანიდი (კამიტე) გამოიყენა.[207] BBC-ს თანახმად, ეს ნივთიერება განსაკუთრებით საფრთხის შემცველია.[208] ის პირველ მსოფლიო ომში გამოიყენეს, როგორც ქიმიური იარაღი და მას შემდეგ, მალევე, სახელმწიფოებმა შეწყვიტეს მისი მოხმარება ხანგრძლივი ეფექტების გამო.[209] ჟურნალისტური გამოძიების შედეგები მნიშვნელოვან შეშფოთებას იწვევს და ობიექტურ გამოძიებას საჭიროებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც, გამოძიება დაიწყო როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი), ასევე უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლი).[210] გამოძიების ფარგლებში გამოკითხვაზე დაიბარეს პირები, რომლებიც BBC-ს რეპორტაჟის რესპონდენტები არიან ან კადრში ჩანან, მათ შორის, საიას თანამშრომლები.[211] ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობა და ამ გამოძიების ფარგლებში გამოყენებული ფორმულირება აჩენს ძლიერ ეჭვს, რომ მიზანი არა ჭეშმა-

---

ti-karlo-katsitadze?fbclid=IwY2xjawH1uCFleHRuA2FlbQIxMQABHWL2rfCh8aJ_9YBy7ZJfxXAN2BPPUXvbIJizDPZoIQ43_REO6ce8iT2g_Q_aem_Tco6XNUVLYcJckwidjX6Ew [14.11.2025].

[202] The Judgement of the European Court of Human Rights, Tsaava and Others V. Georgia, nos. 13186/20, 07.05.2024.

[203] GYLA, Information from Civil Society Organization Submitted to the OSCE Vienna (Human Dimension) Mechanism, 2025; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/Alternative%20Information%20from%20GYLA%20to%20Vienna%20Mechanism.pdf [14.11.2025].

[204] საია, „2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ „ქართული ოცნების" მიერ ქიმიური საშუალებების გამოყენება უკანონო და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი იყო", 02.05.2025; იხ. https://www.gyla.ge/post/demosntaciebis-dashla-ucnobi-qimiurishenaerti [02.12.2025]; იხ. ასევე საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი- 2025 წლის 28 თებერვალი", 2025.

[205] იქვე.

[206] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 თებერვლის MOH 7 25 00192431 წერილი. იხილეთ საია et al., „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი- 2025 წლის 28 თებერვალი", 2025, დანართი.

[207] BBC, WW1 toxic compound sprayed on Georgian protesters, BBC evidence suggests, 01.12.2025, იხ. https://www.bbc.com/news/articles/czrk7g50e1po [02.12.2025]; BBC, Did Georgian police use a chemical weapon against protesters?- BBC World Service Documentaries, 01.11.2025, https://www.youtube.com/watch?v=z4-koO916Gk&t=133s [04.12.2025].

[208] იქვე.

[209] იქვე.

[210] სამსახურის განცხადების მიხედვით, „დღეის მდგომარეობით, შემდგარ ფაქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რომ ერთი მხრივ, გავრცელებული მასალა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც, დადასტურების შემთხვევაში, მიმართულია მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისაკენ, არსებითად არღვევს მათი და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს და, მეორე მხრივ, პირიქით, შეიცავს იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც უხეშად აზიანებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, მის საერთაშორისო იმიჯს, რეპუტაციას და მიმართულია სახელმწიფო ინტერესების ხელყოფისაკენ". სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2025 წლის 1-ლი დეკემბრის განცხადება, იხ. https://ssg.gov.ge/news/1058/sus-shi-gamodzieba-daitsyo-BBC-is-mier-sajarosivrceshi-danashaulis-shesaxeb-gavrcelebul-informaciastan-dakavshirebit [02.12.2025].

[211] საია, „საიას თანამშრომლები BBC-ის საგამოძიებო ფილმთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოკითხვაზე დაიბარა", 02.12.2025, https://gyla.ge/post/GYLA-BBCsagamodziebopilmi-gamokitxvazedabareba [04.12.2025]; ასევე, „რადიო თავისუფლება", „BBC-სთან ინტერვიუს გამო სუსმა დაიბარა TI-ის დირექტორი ეკა გიგაური, ასევე ექიმი გოგი ჩახუნაშვილი, კვლევის თანაავტორი", 03.12.2025, https://www.radiotavisupleba.ge/a/33611641.html [04.12.2025].

რიტების დადგენა, არამედ იმ ადამიანებსა და ორგანიზაციებზე ზეწოლაა, რომლებიც სისტემურ უფლებადარღვევებზე საუბრობენ[212] (გამოკითხვაზე დაბარების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში 1.4.).

ხაზგასასმელია, რომ სამართალდამცავების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა ძალადობის იმ შემთხვევებზე, რომლებშიც საპოლიციო ძალის წარმომადგენლების სახეები ჩანს და მარტივად არიან იდენტიფიცირებადნი.[213] ეს პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფოს განზრახვას, არ გამოიძიოს და პასუხისგებაში არ მისცეს მშვიდობიანი აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე მოძალადე პოლიციელები.

6.3. წამების გამოძიებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმების გაუარესება

2025 წლის 24 ივნისს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, 1-ლი ივლისიდან გაუქმდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური და მისი ფუნქციები საქართველოს პროკურატურამ გადაიბარა.[214] სპეციალური საგამოძიებო სამსახური სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების და არასათანადო მოპყრობის გამოძიების მიზნით შექმნილი უწყება იყო, რომლის ჩამოყალიბება განაპირობა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით“[215] ნაკისრმა ვალდებულებებმა, ასევე, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე[216] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესმა.

სამსახურის გაუქმებამდეც პრობლემური იყო, რომ იგი არ სარგებლობდა პროკურატურისგან საკმარისი დამოუკიდებლობით. საერთაშორისო ინსტიტუტები, მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი,[217] ევროპული კომისია[218] და ვენეციის კომისია[219] სახელმწიფოს მისამართით წლების განმავლობაში გასცემდნენ რეკომენდაციას სამსახურის დამოუკიდებლობის ზრდის შესახებ. 2025 წლის ივნისში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, არ გაეუქმებინა სპეციალური საგამოძიებო სამსახური.[220]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საკუთარ ვალდებულებებს აქამდეც არაეფექტიანად ასრულებდა, რითაც ფაქტობრივად ხელს უწყობდა საპოლიციო ძალადობას, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში დამნაშავეთა დაუსჯელობას. თუმცა ამ უწყების გაუქმება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ დემონსტრაციულად უარს ამბობს საპოლიციო ძალადობის გამოძიებაზე.

---

[212] საია, „საიას თანამშრომლები BBC-ის საგამოძიებო ფილმთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოკითხვაზე დაიბარა“, 02.12.2025; იხ. https://gyla.ge/post/GYLA-BBCsagamodziebopilmi-gamokitxvazedabareba [04.12.2025].

[213] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, 78; იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [14.11.2025].

[214] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი 693-IIმს-XIმპ, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/6534876?publication=0 [14.11.2025].

[215] ASSOCIATION AGENDA BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA 2017-2020, იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1525315497163&uri=CELEX:22017D2445 [14.11.2025].

[216] ცინცაბაძის ჯგუფი ადამიანის უფლებათა სასამართლოს 18 გადაწყვეტილებას აერთიანებს. ისინი სიცოცხლის უფლების და წამების აკრძალვის დარღვევებს ეხება, რომლებიც პოლიციის, ციხის თანამშრომლების ქმედებებით და მათი არაეფექტიანი გამოძიებით იყო გამოწვეული. იხ. https://hudoc.exec.coe.int/#%7B%22fulltext%22:[%22tsintsabadze%22],%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22],%22execidentifier%22:[%22004-5830%22]%7D [14.11.2025].

[217] 1492nd meeting (12-14 March 2024) (DH)- H46-14 Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06), იხ. https://hudoc.exec.coe.int/#{%22execidentifier%22:[%22CM/Del/Dec(2024)1492/H46-14E%22]} [14.11.2025].

[218] Delegation of the European Union to Georgia, 2023 Communication on EU Enlargement Policy (extract about Georgia), იხ. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en [14.11.2025].

[219] Venice Commission, Opinion No. 1158/2023, CDL-AD(2023)044, par. 146, იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)044-e [14.11.2025].

[220] Decision of the Committee of Ministers on the Tsintsabadze Group of Cases, 1531st meeting, 10-12 June 2025 (DH) იხ. https://rm.coe.int/0900001680b64842 [14.11.2025].

თანასწორობის უფლება 2025 წელსაც არსებით გამოწვევად რჩებოდა. სახელმწიფო, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებისთვის მტრული გარემოს შექმნით ძირს უთხრიდა იმ მექანიზმებს, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების თვითორგანიზების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, ადვოკატირების ანდა სერვისების მიღებისთვის მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ კი, საკუთარი ქმედებებით, თავად ახალისებდა უთანასწორობას, მათ შორის, გენდერულად მოტივირებულ სტერეოტიპებს.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული კანონები დიდ გავლენას ახდენს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, როგორებიცაა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი“ და შრომის კოდექსი, თანასწორობას უზრუნველყოფს, ამ უფლებების პრაქტიკული რეალიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული.[221] ეს ორგანიზაციები „საზოგადო გუშაგის“ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ და ფასეულ სერვისებს აწვდიან პირებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. ეს უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფის ხელმისაწვდომობას სამართლიანობაზე და ეფექტიან დაცვას დისკრიმინაციის შემთხვევაში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე ეფექტიანად ეხმარებიან ამ ჯგუფებს თვითორგანიზებაში და მათთვის აქტუალური საკითხების გაწერაში საზოგადოებრივ დღის წესრიგში. სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული გარემო, „უცხოეთის აგენტის“ იარლიყი და რესურსებზე წვდომის შეზღუდვა აზიანებს საზოგადოების ნდობას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, ხელს უშლის ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს სამოქალაქო ინიციატივების რეალიზებაში, ზღუდავს მათ წვდომას იურიდიულ თუ სხვა სახის დახმარებასა და ადვოკატირებაზე. შედეგად, კანონი ირიბად ძირს უთხრის თანასწორობის უფლებებს იმ აქტორების შესუსტებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ ხელშეწყობასა და აღსრულებაზე. ეს ცალსახად უარყოფითად მოქმედებს, მათ შორის, **რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებზე, შშმ პირებზე, ხანდაზმულ ადამიანებზე, ქალებზე, ბავშვებზე, სხვა ჯგუფებზე**.

„გრანტების შესახებ“ კანონის ქვეშ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ წარმოებულმა „მონიტორინგმა“ კიდევ ერთხელ ნათლად გამოკვეთა ის საფრთხეები, რომლებსაც ასეთი კანონმდებლობა შეიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებთან დაკავშირებით. როდესაც 2025 წლის ივნისში ამ ორგანიზაციებს ბიურომ, მათ შორის, ბენეფიციარების შესახებ მასალების წარდგენა მოსთხოვა, საფრთხის ქვეშ დადგა ისეთი სენსიტიური ინფორმაციის დაცულობა, როგორიცაა, მაგალითად, ძალადობაგამოვლილი იმ ქალებისა და ბავშვების მონაცემები, რომლებსაც დახმარებას სწორედ ეს ორგანიზაციები უწევდნენ.[222] აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებმა ბიუროს ასეთი ინფორმაცია არ მიაწოდეს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ **გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა** (CRC) ორგანიზაცია „საფარის“ არასრულწლოვან ბენეფიციართან დაკავშირებით გამოსცა დროებითი ღონისძიება და სახელმწიფოს მოუწოდა, თავი შეიკავოს ბენეფიციარის პირადი ინფორმაციის გამოთხოვნის, გასაჯაროებისა და ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის, ანტიკორუფციული ბიუროსთვის გადაცემისგან.[223] მსგავსი შინაარსის დროებითი ღონისძიება „საფარის“ ბენეფიციარის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ასევე გამოსცა **გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა** (CEDAW).[224]

2025 წელს სახელმწიფო განაგრძობდა ანტიგენდერული ნარატივების გავრცელებას შესაბამისი რიტორიკით და საკანონმდებლო ცვლილებებით, კონკრეტულად კი, კანონმდებლობიდან ტერმინ „გენდერის“ სრული ამოღებით.[225] ასეთი ნაბიჯები და ძალადობის თუ უთანასწორობის გენდერული პერსპექტივის გაუთვალისწინებლობა ძირს უთხრის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით წლების განმავლობაში გაწეულ ძალისხმევას, უგულებელყოფს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც

[221] C/2023/861 Opinion of the European Economic and Social Committee on 'Civil society support and funding in the area of fundamental rights, the rule of law and democracy, Official Journal of the European Union, 08.12.2023. იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52023IE1399 [14.11.2025].

[222] „ნეტგაზეთი“, „მიმოწერები, ფოტო-ვიდეო, ბენეფიციარების ინფორმაცია – რას ითხოვს ანტიკორუფციული 5 ორგანიზაციისგან“, 18.06.2025, იხ. https://netgazeti.ge/life/777305/ [14.11.2025].

[223] „საფარი“ ანტიკორუფციულ ბიუროსა და სასამართლოს: იმოქმედეთ სამართლებრივად და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად“, 24.07.2025, იხ. https://safari.ge/safari-calls-on-the-anti-corruption-bureau-and-the-court/ [14.11.2025].

[224] „პუბლიკა“, „საფარი: გაეროს კიდევ ერთმა კომიტეტმა გამოსცა დროებითი ღონისძიება ბენეფიციარის პირადი ინფორმაციის არგაცემაზე“, 27.08.2025, იხ. https://publika.ge/safari-gaero-un/ [14.11.2025].

[225] „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი, კანონმდებლობიდან სიტყვა „გენდერის“ ამოღების შესახებ სხვა კანონპროექტები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტები იხილეთ ბმულზე: https://info.parliament.ge/?fbclid=IwY2xjawI1LdtleHRuA2FlbQIxMQABHSD_EyDLe2qjVbWeU9d__8InyKIIueb3VAD0NiaQw8zSFKe70TIWukJBCA_aem_BC1vWdKm4Y8M7r2tYV4U3g#law-drafting/30327 [14.11.2025].

ახალისებს ქალთა მიმართ ძალადობას, ხელს უშლის უთანასწორობის სხვადასხვა ფორმის აღიარებას, ასევე, ეფექტიანი დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას, ამკვიდრებს ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს და უთანასწორობის კულტურას, აძლიერებს ძალადობისა და სიძულვილის ენის ნორმალიზებას.[226] ეს ყოველივე ქვეყანას აშორებს სტამბოლის კონვენციის სტანდარტებისგან და აძლიერებს მავნე სტერეოტიპებს, რომლებიც **ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობას და დისკრიმინაციას.**[227]

ამ მავნე ტენდენციას კიდევ უფრო ამძაფრებს სამართალდამცავი ორგანოების იმ თანამშრომელთა ქმედებები, რომლებიც მშვიდობიან საპროტესტო აქციებში მონაწილე ქალების მიმართ სექსუალურ შევიწროებას, გენდერულ შეურაცხყოფასა და ფიზიკურ ძალადობას მიმართავენ.[228] ამგვარი ფაქტები განსაკუთრებით ხშირი იყო 2 თებერვლის აქციაზე.[229] შედეგად, გენდერული ძალადობისგან დაცვის ნაცვლად, პოლიცია თავად ხდება დამნაშავე, რაც მსხვერპლს დაცვის გარეშე ტოვებს და საზოგადოების ნდობას კიდევ უფრო ასუსტებს.[230] ქალი მომიტინგეების წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების ინსტრუმენტალიზაცია არა მხოლოდ პირდაპირ არღვევს ქალების უფლებებს, არამედ ქმნის დაუცველობის უფრო ფართო გარემოს და აძლიერებს სისტემურ გენდერულ უთანასწორობას საზოგადოებაში.

სახელმწიფო, საკუთარი რიტორიკით, კვლავ აძლიერებდა ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ სიძულვილს.[231] ასევე ძალაში რჩება ჰომოფობიური/ტრანსფობიური საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც უხეშად არღვევს **ლგბტქი+ თემის** უფლებებს და ამ საკითხების ირგვლივ აქტივიზმისა და გამოხატვის სივრცეს ახშობს.[232] 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციების დოკუმენტირებამ გამოავლინა საპოლიციო ძალადობის ჰომოფობიური/ტრანსფობიური ნარატივები – ადამიანები, რომლებიც სპეცრაზმის თვალში, რაიმე მახასიათებლებით, ლგბტქი+ თემთან ასოცირდებოდნენ, უფრო სასტიკ ძალადობას ექვემდებარებოდნენ.[233] აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ამ დანაშაულების, ისევე, როგორც, ზოგადად, წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამო, დღემდე არავინ დასჯილა.

[226] „სახალხო დამცველის განცხადება ქალებისა და არასრულწლოვანების მიმართ სიძულვილის ენის გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით“, 29.08.25. იხ. https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-kalebisa-da-arasrultslovanebis-mimart-sidzulvilis-enis-gakhshirebul-shemtkhvevebtan-dakavshirebit [14.11.2025].

[227] საია, „2025 წლის 8 მარტს საქართველო ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებული გარემოთი ხვდება“, 08.03.25 იხ. https://gyla.ge/post/2025-8-marti-qalta-uflbebi-saia [14.11.2025].

[228] Amnesty International, FROM INSULTS TO ASSAULTS: WEAPONIZING GENDER-BASED VIOLENCE AGAINST WOMEN PROTESTORS IN GEORGIA, 2025, https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/05/georgia-women-protesters-are-targeted-with-escalating-violence-and-gender-based-reprisals/ [14.11.2025].

[229] „რადიო თავისუფლება“, „ტინდერის ასლარიანო ბოზებო”- პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე“, 07.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html?fbclid=IwY2xjawIW4PlleHRuA2FlbQIxMQABHaA-B2VKg-Pas7ms-rghY-KfEPe1TTgHwPEt3d_ofb0t5ye_-y39Q4xZ6aQ_aem_WSlKm3SVkRhCCXegsTzb-A [14.11.2025].

[230] საიას განცხადება „საია ეხმიანება 2025 წლის 8 სექტემბერს მელიქიშვილის გამზირზე საპროტესტო აქციის მონაწილეებზე თავდასხმას“. 09.09.25. იხ. https://gyla.ge/post/8-setemberi-saas-shefaseba [14.11.2025].

[231] საია, „ქართული ოცნების“ მიერ ჰომოფობიის/ტრანსფობიის გაღვივება რეპრესიის და ავტორიტარული კონტროლის იარაღია“, 17.04.2025, იხ. https://gyla.ge/post/Gancxadeba-17-maisi-gyla [14.11.2025].

[232] იქვე.

[233] იქვე.

მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების ფონზე, 2025 წელსაც გამოწვევად რჩება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. მომდევნო ქვეთავებში განხილულია: შრომის, ღირსეული საცხოვრისის და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებები.

8.1. შრომის უფლება

8.1.1. საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება

2025 წელს (2024 წლის დეკემბრის ბოლოდან) საჯარო დაწესებულებებში თანამშრომელთა გათავისუფლების მასშტაბური პროცესი დაიწყო. პროფესიული გაერთიანების ინფორმაციით, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულთა რაოდენობამ 1200 ადამიანს გადააჭარბა.[234] ამ პროცესს წინ უძღოდა 2024 წლის ბოლოს „ქართული ოცნების" პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებები სექტორის წმენდის თაობაზე[235] და ცვლილებები საჯარო სამსახურის შესახებ კანონში.[236] გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები უმეტესად იმ პირების წინააღმდეგ მიიღეს, რომლებმაც არ გაიზიარეს მმართველი პარტიის პოლიტიკა და საჯაროდ გამოხატეს თავიანთი სამოქალაქო პოზიცია ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით. საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირები სამსახურიდან გაათავისუფლეს დაუსაბუთებლად და გაუმჭვირვალედ. როგორც წესი, ეს ხდებოდა რეორგანიზაციის, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ხელშეკრულების ვადის გასვლის საბაბით.[237] მმართველი გუნდის განცხადებები, განსხვავებული მოსაზრების მქონე პირების საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლების პრაქტიკა და ამ პრაქტიკის მასშტაბურობა ცხადყოფს, რომ სახეზეა ადამიანების დევნა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

2025 წელს განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი უწყების – საჯარო სამსახურის ბიუროსა და პარლამენტის კვლევითი ცენტრის ლიკვიდაცია.[238] რეორგანიზაცია ჩატარდა საქართველოს პარლამენტში,[239] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში,[240] საქართველოს თავდაცვის სამინისტროში,[241] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში,[242] თბილისის მერიასა[243] და ცენტრალურ

[234] „ბათუმელები", „1200-ზე მეტი საჯარო მოხელე გაათავისუფლეს, მაგრამ კრიტიკული განწყობა არსად არ წასულა", 16.09.2025, იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/587084/?fbclid=IwY2xjawOC9HJleHRuA2FlbQIxMQBzcnRjBmFwcF9pZBAyMjIwMzkxNzg4MjAwODkyAAEezaH_WzbM7NkSW59uUlVeY_FjbPA7bog9MBPPqt7XJiUArhsY2cnbAVy4mcM_aem_wXxzmvy3n0H49BYFFt_Grw [14.11.2025].

[235] საია, „საჯარო მოხელეებზე ზეწოლა მათი ლეგიტიმური პროტესტის გამო სისხლის სამართლის დანაშაულია", 02.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/saguaro-mokheleebze-zewola-siskhlis-samartlis-danashaulia [14.11.2025]; „რადიო თავისუფლება", „ირაკლი კობახიძე საჯარო მოხელეების პროტესტზე: „ყველას მოქმედებაზე გვექნება რეაგირება", 03.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33224977.html [14.11.2025]; „რადიო თავისუფლება", „წინა კვირას რეორგანიზაცია გამოვაცხადეთ... ლუსტრაციაა» - კალაძე მერიის 200-ზე მეტი თანამშრომლის პროტესტს პასუხობს", 01.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33222551.html [14.11.2025]; „ფორმულა", „წილოსანი საგარეოს თანამშრომლებს „მთავარ ღირებულებებზე დაფიქრებას» ურჩევს", 29.11.2024; იხ. https://formulanews.ge/News/120680 [14.11.2025].

[236] საია, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზებას ემსახურება", 16.12.2025, იხ. https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi [14.11.2025].

[237] საია, „საჯარო სამსახურის „რეფორმის" დამანგრეველი ეფექტი", 2025; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საჯარო%20სამსახურის%20„რეფორმის"%20დამანგრეველი%20ეფექტი.pdf [14.11.2025].

[238] იქვე. ასევე, „რადიო თავისუფლება", „კიდევ 21 გათავისუფლებული: გამოცხადდა პარლამენტის კვლევითი ცენტრის გაუქმების თარიღი, 06.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95-21-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98/33305429.html [14.11.2025]; „ინტერპრესნიუსი", „პარლამენტმა საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის ინიციატივას მხარი დაუჭირა - ბიუროს ლიკვიდაცია 2025 წლის 1-ლი აპრილიდან განხორციელდება", 20.02.2025; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/830957-parlamentma-sajaro-samsaxuris-biuros-likvidaciis-iniciativas-mxari-dauchira-biuros-likvidacia-2025-clis-1-eli-aprilidan-ganxorcieldeba/ [14.11.2025].

[239] „რადიო თავისუფლება", „შეიცვლება საშტატო ნუსხა" - შალვა პაპუაშვილმა პარლამენტში რეორგანიზაცია გამოაცხადა", 07.04.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33375961.html [14.11.2025].

[240] საია, „საჯარო სამსახურის „რეფორმის" დამანგრეველი ეფექტი", 2025; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საჯარო%20სამსახურის%20„რეფორმის"%20დამანგრეველი%20ეფექტი.pdf [24.10.2025]. ასევე, „ნეტგაზეთი", „რეორგანიზაციის შემდეგ, საგარეო უწყებიდან არაერთი ადამიანი გაათავისუფლეს", 01.07.2025; იხ. https://netgazeti.ge/news/778600/ [14.11.2025].

[241] საია, „საჯარო სამსახურის „რეფორმის" დამანგრეველი ეფექტი", 2025; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საჯარო%20სამსახურის%20„რეფორმის"%20დამანგრეველი%20ეფექტი.pdf [14.11.2025].

[242] „პირველი არხი", „რეორგანიზაციის ფარგლებში, განათლების სამინისტროში რამდენიმე სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა", 24.10.2025; იხ. https://1tv.ge/news/reorganizaciis-farglebshi-ganatlebis-saministroshi-ramdenime-struqturuli-cvlilebba-gankhorcielda/ [14.11.2025].

[243] „ტაბულა", „კალაძე: მერიაში რეორგანიზაციაა, კიდევ ბევრი ადამიანი გათავისუფლდება", 24.01.2025; იხ. https://tabula.ge/ge/news/728959-kaladze-meriashi-reorganizatsiaa-kidev-bevri [14.11.2025].

საარჩევნო კომისიაში.[244] გაუქმდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური,[245] განათლების სამინისტროში შემავალი ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი და ააიპ პროფესიული უნარების სააგენტო.[246] 2025 წლის ნოემბერში დაანონსდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, 2026 წლის 2 მარტიდან გაუქმდება ანტიკორუფციული ბიურო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.[247]

„ქართული ოცნების" მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაადვილდა საჯარო დაწესებულებებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება. ჯერ კიდევ 2024 წლის დეკემბერში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დაჩქარებული წესით შესული ცვლილებებით დასუსტდა მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირების დაცვის გარანტიები და გამარტივდა რეორგანიზაციის პროცესი.[248] ევროკომისიის შეფასებების თანახმად, ეს ცვლილებები ეწინააღმდეგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციას.[249] გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ევროპის სოციალურ ქარტიაში გაგზავნილი ანგარიშის თანახმად, აღნიშნული ცვლილება ძირს უთხრის საჯარო მოხელეების ადრე არსებულ სამართლებრივ გარანტიებს, ეფექტიანად ისარგებლონ შრომის უფლებით.[250]

საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია გაგრძელდა 2025 წლის იანვარში მიღებული კანონქვემდებარე აქტებით. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N582 ბრძანება), სამხედრო პოლიციის სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლებისთვის დადგენილი ზღვრული ასაკი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად იქცა, რასაც თან ახლდა მათი მასობრივი დათხოვნა. საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით (N01-74) დიპლომატიური სამსახურის წესში შეტანილმა ცვლილებებმა კი შესაძლებელი გახადა ხელმძღვანელი პოზიციების ადმინისტრაციული ხელშეკრულებით შევსება, რაც კანონის ფარგლებს სცდება და ზრდის პოლიტიკური გავლენისა და თვითნებური გადაწყვეტილებების რისკს.[251]

2025 წლის 29 ოქტომბერს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებების შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს შეუძლია, განახორციელოს ანაზღაურებადი სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობა მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით, კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ასევე, აკადემიური თანამდებობის დაკავება საჯარო მოსამსახურეს შეუძლია მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.[252] ეს საკანონმდებლო ცვლილება საჯარო სამსახურში მიმდინარე რეპრესიების გაგრძელებაა, ვინაიდან ისედაც შრომით-სამართლებრივ

---

[244] საია et al. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 25 წლის 28 თებერვალი, 2025, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/ადამიანის%20უფლებების%20კრიზისი%20საქართველოში.pdf [14.11.2025].

[245] საია, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმება ადასტურებს, რომ ქართული ოცნება წამებისა და საპოლიციო ძალადობის გამოძიებას ფორმალურადაც კი არ აპირებს", 23.05.2025; იხ. https://www.gyla.ge/post/specialuri-sagamodziebos-gauqmeba, [14.11.2025].

[246] „პირველი არხი", „რეორგანიზაციის ფარგლებში, განათლების სამინისტროში რამდენიმე სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა, 24.10.2025; იხ. https://1tv.ge/news/reorganizaciis-farglebshi-ganatlebis-saministroshi-ramdenime-struqturuli-cvlileba-gankhorcielda/ [14.11.2025].

[247] „Civil Georgia", „ანტიკორუფციული ბიურო 2026 წელს გაუქმდება და მის ფუნქციებს აუდიტის სამსახური შეასრულებს", 17.11.2025, იხ. https://civil.ge/ka/archives/711003 [04.12.2025].

[248] საია, „საჯარო სამსახურის „რეფორმის" დამანგრეველი ეფექტი", 2025; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/საჯარო%20სამსახურის%20„რეფორმის"%20დამანგრეველი%20ეფექტი.pdf, [14.11.2025]. ასევე, საია et al. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 25 წლის 28 თებერვალი", 2025, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/ადამიანის%20უფლებების%20კრიზისი%20საქართველოში.pdf, [14.11.2025].

[249] EUROPEAN COMMISSION, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2025 Report, 2025, 66; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/b3089ad4-26be-4c6a-84cc-b9d680fe0a48_en?filename=georgia-report-2025.pdf [14.11.2025].

[250] Public Defender's Office of Georgia, Comments regarding the 17th National Report on the implementation of the European Social Charter Submitted by the Government of Georgia, 2025, 7; იხ. https://rm.coe.int/comments-public-defender-georgia-17-nr-2025/1680b6bf66 [14.11.2025].

[251] ასევე, იხილეთ, საია et al., სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ 2024 წლის 28 ნოემბერი - 25 წლის 28 თებერვალი", 2025, 9; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/ადამიანის%20უფლებების%20კრიზისი%20საქართველოში.pdf, [14.11.2025].

[252] საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი 1015-IVმს-XIმპ, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/6656740?publication=0#DOCUMENT:1, [14.11.2025].

გარანტიებს მოკლებულ მოხელეებს, განსაკუთრებით ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის მქონე პირებს, დამატებით, შესაძლოა, აკადემიური საქმიანობაც შეეზღუდოთ.

გარდა საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკური ნიშნით რეპრესიებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებისა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შეუსაბამობა ევროკავშირის სამართალთან. ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ განუხორციელებია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ კონვენციების რატიფიცირება, რომლებიც ეხება შრომის ინსპექციებს, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, დეკრეტის დაცვას, მინიმალურ ხელფასს, სოციალურ უსაფრთხოებას, ძალადობას და შევიწროებას სამსახურში. აგრეთვე, ჯერ კიდევ არ მიუღია შრომითი უფლების რამდენიმე დებულება სოციალური უფლებების ევროპული ქარტიის ფარგლებში.[253]

8.1.2. ჭიათურაში მაღაროელთა შრომითი უფლებების დარღვევა

ამ წელს პრობლემა იყო ჭიათურაში მაღაროელთა შრომითი უფლებების დაცვა. 2025 წლის იანვარში ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის, „ჯორჯიან მანგანეზის“ მმართველმა „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიამ“ (CMC) მაღაროების მუშაობა შეაჩერა და თანამშრომლები ნაწილობრივ ანაზღაურებაზე გადაიყვანა.[254] თუმცა, მაღაროელები იმ 60%-იანი ანაზღაურების მიღებასაც ვერ ახერხებდნენ, რომლის გადახდის ვალდებულებაც კომპანიას მუშაობის პროცესის შეჩერების შემდეგ დაეკისრა.[255] მაღაროელების ინფორმაციით, საქმე ეხებოდა 5000 თანამშრომელს, რომელთაგან 3000-ზე მეტი ჭიათურაში მუშაობდა.[256] 7 მარტს „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“, „ჯორჯიან მანგანეზთან“ შეთანხმებით, გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჭიათურაში მიწისქვეშა სამუშაოები აღარ განახლდება.[257] შპს „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“, რომელიც ჭიათურაში მიწისქვეშა და ღია კარიერული წესით მანგანუმს მოიპოვებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გაკოტრების განცხადებით მიმართა.[258]

